გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

№33 (1723) 9 — 15 ოქტომბერი ოთხშაბათი 2024 წელი
1 ლარი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.versia.ge

თბილისის გარეუბანში ლომბარდის მეპატრონე მოკლეს

„გამაძღარ და უნამუსო ადამიანს საკადრისი მივუზღე“ – მკვლელის აღიარება

ბიძინა ივანიშვილი: „2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა!“

„ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

გორისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების აუდიტები გენერალურ პროკურატურაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ექსპრემიერმა 12-წლიანი დუმილი საჯარო ლექციით დაარღვია

მდიდარი ნიკა გილაურის „მოკრძალებული“ ქონებრივი დეკლარაცია

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიას უმასპინძლა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა დეტალურად განიხილეს მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული რელევანტური საკითხები. ალექსანდრე დარახველიძემ დელეგაციის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა წინასაარჩევნო პერიოდსა და საარჩევნო პროცესებში შინაგან საქმეთა სამინისტროს როლზე, მათ შორის, წინასაარჩევნო კამპანიისა და უშუალოდ არჩევნების დღის მიმდინარეობისას. მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების მნიშვნელობას და ამ კუთხით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჩართულობასა და უფლებამოსილ უწყებებთან თანამშრომლობას. ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ ბრძანებაზე.

მინისტრის მოადგილემ სადამკვირვებლო მისიას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გადამზადება არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართულობა; არჩევნების მიმდინარეობისას გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირება; საზოგადოების პროაქტიულად ინფორმირება და სხვა.

შეხვედრის ბოლოს, მინისტრის მოადგილემ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და მოახლოებული არჩევნების მშვიდ, უსაფრთხო და დემოკრატიულ გარემოში ჩატარების იმედი გამოთქვა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, იოგან მერფისთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები და საარჩევნო პროცესის უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების მნიშვნელობა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დელეგაციის წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა წინასაარჩევნო პერიოდში უწყების მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარება.

შეხვედრაზე ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ თანამშრომელთა გადამზადებას, რათა პოლიციელებმა უზრუნველჰყონ საარჩევნო პროცესში მათზე დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანი შესრულება.

ალექსანდრე დარახველიძემ გამოთქვა მზაობა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროაქტიულად ითანამშრომლოს და შესაბამისი ინფორმაცია გაუზიაროს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი შესაძლო დარღვევებისა და პოლიციის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ბრძანება გამოსცა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ბრძანება გამოსცა.

ბრძანების თანახმად, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე, შეიქმნება ტერიტორიული ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან სამართალდარღვევების გამოვლენასა და პრევენციაზე.

არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის ჯგუფებს დაევალათ სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველჰყონ სათანადო ზომების მიღება, საჭიროებისამებრ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების განხორციელება.

ბრძანება პოლიციელებს ავალდებულებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი. დაუშვებელია, სამართალდამცველის ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ იყოს მიმართული რომელიმე პოლიტიკური პარტიის საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის განცხადება

საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის ცხელ ხაზზე, იურიდიული და კერძო პირებისგან არაერთი სატელეფონო ზარი შემოვიდა, მოქალაქეები მიუთითებენ, რომ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და მისი ხელმძღვანელის სახელით გაურკვეველი შინაარსის შეტყობინებები მიიღეს.

მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვმარტოთ, რომ არანაირი შეტყობინება არ არის დაგზავნილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან და მოქალაქეებს მოვუწოდებთ, არ შევიდნენ შეცდომაში.

ასევე, განვმარტავთ, რომ აღნიშნული ფაქტი შესწავლილი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ.

გია ვოლსკი: „პრეზიდენტს გონება და ცოდნა არ ჰყოფნის, რომ არჩევნების გაყალბების მოსალოდნელ საფრთხეზე ილაპარაკოს“

პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ „პრეზიდენტს გონება და ცოდნა არ ჰყოფნის, რომ არჩევნების გაყალბების მოსალოდნელ საფრთხეზე ილაპარაკოს“.

„სალომე ზურაბიშვილს ნიჭიც რომ ჰქონდეს, იმ გარემოებებს ვერ დაახასიათებს, რამაც შეიძლება არჩევნების გაყალბება გამოიწვიოს“, – განაცხადა ვოლსკიმ ჟურნალისტებთან.

მისი თქმით, 26 ოქტომბრის არჩევნები ელექტრონული წესით ტარდება, "ელექტრონულ არჩევნებს კი აბსოლუტურად შეუბღალავი ავტორიტეტი აქვს და მისი გაყალბება შეუძლებელია.

„აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ უარესი წინ გველოდება – როცა ის ვერანაირად დაასაბუთებს, რომ არჩევნები გაყალბდა, სხვა მიზეზებს და იმ ზღაპრებს მოიგონებს, რაც რადიკალური ოპოზიციის მხრიდან უკვე ხშირად გვესმის, რომ თითქოს და, ზეწოლა, მოსყიდვები ხდება და ისეთი გარემოებებია შექმნილი, რომ ლამის პოლიციელები და უსაფრთხოების სამსახურები ქუჩა-ქუჩა დადიან და მუქარის ქვეშ ადამიანებს აიძულებენ, რომ 26 ოქტომბერს ხმა აუცილებლად "ქართულ ოცნებას" მისცენ.

შეუძლებელია ადამიანს ნების წინააღმდეგ რაიმეს გაკეთება აიძულო – ეს არის ფაქტი. როცა ამ ფაქტს უპირისპირდები, ეს არის უტიფრობა ან საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ირაკლი კობახიძე: „წლევანდელი ეკონომიკური ზრდა გვაძლევს საშუალებას, მომავალი წლისთვის პენსიები 350 და 450 ლარამდე გავზარდოთ“

წლევანდელი ეკონომიკური ზრდა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მომავალი წლისთვის არა ინდექსაციით გათვალისწინებულ 335 ლარამდე და 435 ლარამდე, არამედ 350 და 450 ლარამდე გავზარდოთ პენსიები, – განაცხადა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, პენსიების ზრდა მომავალი წლების განმავლობაშიც გაგრძელდება.

„ქართული ოცნების“ მაღალ რეიტინგს ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს, მშვიდობა და სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკურ განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება“, – ირაკლი კობახიძე

„რაც შეეხება პენსიას, 2012 წელს პენსია შეადგენდა 125 და 140 ლარს, 110 ლარი იყო 2012 წელს პენსია და წინასაარჩევნოდ მოუმატეს 125 და 140 ლარამდე. 2024 წელს უკვე 315 და 415 ლარია, დაახლოებით სამჯერ არის გაზრდილი პენსია. მაღალმთიან დასახელებებში პენსია შეადგენს 378 და 498 ლარს. ზრდა მნიშვნელოვანია, თუმცა გვესმის, რომ ესეც არის ძალიან ცოტა.

ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ინდექსაციის მიღმა ყოველწლიურად გავზარდოთ პენსიები ეკონომიკის ზრდასთან ერთად. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ შემოვიღეთ ინდექსაციის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ინფლაციას უნდა გაყვეს პენსიების ზრდა როგორც მინიმუმ, თუმცა, მაგალითად წლევანდელი ეკონომიკური ზრდა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მომავალი წლისთვის არა ინდექსაციით გათვალისწინებულ 335 ლარამდე და 435 ლარამდე, არამედ 350 და 450 ლარამდე გავზარდოთ პენსიები.

მომავალი წლების განმავლობაშიც გაგრძელდება პენსიების ზრდა მინიმუმ ინდექსაციის მიხედვით, თუმცა ამის მიღმა, ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს პენსიები ყოველწლიურად“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძე: „მინიმუმ 130 მილიარდ ლარამდე გაიზრდება ეკონომიკა 2028 წლისთვის, ამის მთავარი წინაპირობა მშვიდობის შენარჩუნებაა“

მინიმუმ 130 მილიარდ ლარამდე გაიზრდება ეკონომიკა 2028 წლისთვის, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციისას განაცხადა.

მისი თქმით, ამის მთავარი წინაპირობა მშვიდობის შენარჩუნებაა.

ირაკლი კობახიძე: გვაქვს ძალიან ამბიციური ამოცანა – 50 მლრდ ლარს გადააჭარბებს 2028 წლისთვის ქვეყნის ბიუჯეტი, რაც მოგვცემს ბევრად მეტი პროექტის განხორციელებისა და სოციალური უზრუნველყოფის პაკეტის გაფართოების შესაძლებლობას

„ჩვენი პროგნოზის მიხედვით და არსებული გეგმების შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინიმუმ 130 მილიარდ ლარამდე გაიზრდება ეკონომიკა 2028 წლისთვის. ჩვენ თუ ეს შევძელით და აუცილებლად შევძლებთ არსებული ტემპის შენარჩუნებას, ამ შემთხვევაში ეკონომიკა აუცილებლად 130 მილიარდ ლარამდე გაიზრდება, ამის მთავარი წინაპირობა არის, რა თქმა უნდა, მშვიდობის შენარჩუნება, ყველაფერი დანარჩენი არის ჩვენს ხელში და ჩვენ აუცილებლად შევძლებთ ამ შედეგის მიღწევას.

ირაკლი კობახიძე: „2028 წლისთვის საშუალო ხელფასი 3 500 ლარამდე გაიზრდება“

როგორც ირაკლი კობახიძემ განაცხადა, 2012 წლისთვის ქვეყანაში საშუალო ხელფასი იყო 712,5 ლარი, ხოლო დღევანდელი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 2005 ლარამდეა გაზრდილი.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ იზრდებოდა ეკონომიკა ფულის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით. ეს არის მთავარი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც იანგარიშება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, როგორია ადამიანის სოციალური მდგომარეობა ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ კუთხითაც გვქონდა ძალიან მძიმე, შესაბამისი მდგომარეობა. ჩვენი ეკონომიკა მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით დოლარში 2012 წელს შეადგენდა დაახლოებით 10 000 დოლარს, ოდნავ მეტს, 10 040 დოლარს და მსოფლიოში ვიყავით 109-ე ადგილზე ამ მაჩვენებლით, იყო ძალიან მძიმე ვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით. 2024 წლისთვის ჩვენ უკვე გადავაჭარბეთ 25 000 დოლარს მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით და არა მარტო გავზარდეთ ეკონომიკა, როგორც ასეთი, არამედ სხვა ქვეყნებთან შეფარდებითაც გვქონდა ბევრად უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა და როგორც ხედავთ, 109-ე ადგილიდან გადავინაცვლეთ 77-ე ადგილზე. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ამით იზომება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. თუ ვიყავით მანამდე 109-ე ადგილზე მანამდე, გადავინაცვლეთ 77-ე ადგილზე. რაც შეეხება 2028 წელს, აქ ჩვენი ანალოგიური პროგნოზი არის საკმაოდ ამბიციური და ეს შეესაბამება ჩვენს გეგმებს და პროგრამას. ჩვენი პროგნოზით, 36 000 დოლარს გადასცდება ერთ სულ მოსახლეზე ჩვენი ეკონომიკა მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, ჩვენ უკვე გადავალთ 66-ე ადგილზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით ამ შემთხვევაშიც გვექნება უფრო სწრაფი ზრდა“, – აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ შედარებისთვის მოიყვანა 2012 წლის მაჩვენებლები და 2028 წლის პერსპექტივებზე ისაუბრა.

„საქართველო იყო საკმაოდ ჩამორჩენილი სხვა ქვეყნებთან შედარებით 2012 წელს სწორედ ამ პარამეტრით, ჩვენ დაახლოებით 4-ჯერ გვისწრებდა საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იტალია, დაახლოებით 2.5-ჯერ გვისწრებდა საბერძნეთი, ბულგარეთთანაც გვქონდა საკმაოდ სერიოზული ჩამორჩენა და ა.შ. გარდა ამისა, ჩვენ გვისწრებდა ყველა კანდიდატი ქვეყანა უკრაინის და მოლდოვის გარდა, უკრაინა მცირედით ჩამოგვრჩებოდა და უკრაინასთან გვქონდა შედარებით დიდი სხვაობა. რაც შეეხება ჩვენს პერსპექტივას 2028 წლისთვის, წამყვან დასავლეთ ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენა ორმაგზე ნაკლები იქნება უკვე 2028 წლისთვის. თუ ოთხმაგი იყო ჩამორჩენა, ორმაგზე ნაკლები იქნება ჩამორჩენა წამყვან განვითარებულ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. რაც შეეხება საბერძნეთს, ბულგარეთს, აქ ჩამორჩენა იქნება უკვე მინიმალური და რაც შეეხება კანდიდატ ქვეყნებს, რომლებსაც მოლაპარაკებები აქვთ გახსნილი ევროკავშირთან, ჩვენ ვიქნებით ყველა ქვეყანაზე წინ. ეს არის ის დაპირება, რომელიც ძალიან თამამად შეგვიძლია გავცეთ იმ ტენდენციიდან და გეგმებიდან გამომდინარე, რომელიც გვაქვს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ბიძინა ივანიშვილი: „2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა!“

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან 12 წელი გავიდა. 1 ოქტომბრის გამარჯვებასთან დაკავშირებით, მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა წერილი გაავრცელა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!“

„დღეს 1 ოქტომბერია...

თავისუფლების დაბრუნების დღე!

დღე, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოსა და ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობას. დღე, რომელიც გამოხატავს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მთავარ გამარჯვებას და ქართველი კაცის მიერ ღირსების დაბრუნებას!

2012 წლის 1 ოქტომბერი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია, ქართველი ხალხის არსებობის ერთ-ერთი მთავარი გამართლება, დღე, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს ქართულ გენს და წინაპართა მემკვიდრეობას – რამდენად ძლიერიც უნდა იყოს მტერი, შიდა თუ გარე, როდესაც საქმე ჩვენი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას ეხება, უკან დასახევი გზა უბრალოდ არ არსებობს!

ღირსება და თავისუფლება ქართველი კაცისთვის წითელი ხაზია, რუბიკონი, რომელიც არ უნდა გადალახო, მაგრამ თუ მაინც გაბედავ, რომ ამ მდინარეში შესცურო, ქართველი ხალხის, საქართველოს შვილების ერთიანობის ძალა წაგლეკავს!

1 ოქტომბერი არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, რომელიმე ადამიანს, 1 ოქტომბერი ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც ამ საოცარი ერთიანობით, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყანას ჩამორეცხეს სამარცხვინო შავი ლაქა, რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას თავისუფლად ამოსუნთქვის, აზრის გამოხატვის, სიმართლისთვის ბრძოლის, ღირსეულად ცხოვრების, ოჯახსა და ახლობლებზე ზრუნვის, მუშაობის, ბიზნესის კეთების, განათლების მიღების და სიბერის ღირსეულად გატარების.

პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა როდია, ყველაფერთან ერთად, ესაა გამბედაობა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ, ყველაზე რთულ მომენტში აიმაღლო ხმა, სწორედ მაშინ, როდესაც ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს!

ჩვენ გავბედეთ!

შეუძლებელი შევძელით და თუკი 2011 წელს, პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მომენტში, ხალხს ქუჩაში გამოსვლის და შეკრებისაც კი ეშინოდა, 2012 წლის 29 სექტემბერს, როგორც მინიმუმ, ნახევარი მილიონი პატრიოტი მოეფინა თბილისის ქუჩებს, რათა ყველასთვის გვეჩვენებინა, რომ არავის და არაფრის გვეშინია, 1 ოქტომბერს კი, ქუდზე-კაცი მივედით საარჩევნო ყუთებთან და არა მხოლოდ გადავრჩით, არამედ, გავიმარჯვეთ!

ამ ერთიანობის ძალით შევძელით ბოროტების – სიკეთით, ხოლო სიცრუის სიმართლით, უსისხლოდ დამარცხება.

სწორედ ჩვენი ხალხის ამ უპრეცედენტო ერთიანობას ვერ აღუდგნენ წინ იმჟამინდელი რეჟიმი და მათი უცხოელი პატრონები!

ამიტომაც, ეს დღე ჩვენი სიამაყის საერთო საფუძველია! ნიშანი და სიმბოლო საქართველოს მოქალაქეების ერთიანობისა და ამ ერთიანობის ძალისა!

ეს დღეც ჩვენია, როგორც 26 მაისი, როგორც 9 აპრილი!

ამ ყველაფრისთვის სამშობლო თქვენი მადლიერია, მადლიერი ვარ მეც, როგორც თქვენი თანამებრძოლი, ქართველი კაცი!

ვსარგებლობ დღევანდელი შემთხვევით და მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების“ თითოეულ წევრს, თითოეულ თანამებრძოლსა და მხარდამჭერს. მადლობა ყველას, ვინც 1 ოქტომბერს, ჩვენთან ერთად, უშიშრად დადგა, გასული 12 წლის განმავლობაში, ჩვენთან ერთად, ღირსეულად იარა დანაღმულ ველზე და გაუძლო ყოველნაირ ზეწოლას, რათა დღეს ისევ ჩვენ გვერდით ყოფილიყო!

2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა. არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ, ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრინციპულად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს ადამიანის უფლებები, სასამართლო, ეკონომიკა თუ სხვა.

ამას არა მხოლოდ ჩვენი სიტყვა და ის კეთილდღეობა ადასტურებს, რასაც ჩვენი მოქალაქეები საკუთარ თავზე გრძნობენ, არამედ, ამას მოწმობს საერთაშორისო რეიტინგები, რომლებშიც ჩვენი ქვეყანა წინ და წინ მიიწევს!

არ არსებობს თუნდაც ერთი სფერო, რომელზეც ყველაზე მიკერძოებული ადამიანიც კი იტყვის, რომ 2012 წლამდე იყო კარგად, ხოლო 2012 წლის შემდეგ გაუარესდა. ეს არის ფაქტობრივი მოცემულობა, რომლის დამალვას, დამახინჯებას და იგნორირებას ცდილობენ ჩვენი ოპონენტები, მაგრამ ქართველი ხალხი ყველაფერს ხედავს.

ეს ხელშესახები პროგრესი, რასაც ყველა ვხედავთ, არა მხოლოდ ჩვენი მონდომებისა და ძალისხმევის,

დასასრული მე-5 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა!“

მე-4 გვერდიდან

არამედ, იმ ბეწვის ხიდზე სწორად სიარულის შედეგი გახლავთ, რომელზეც მთელი განვლილი 12 წლის განმავლობაში ვიარეთ და დღემდე ვაგრძელებთ სვლას.

დიახ, ბოლო დრომდე ვცდილობდით ამ თემაზე საჯაროდ არ გვესაუბრა, რათა მოსახლეობა არ დაგვეთრგუნა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული – დღემდე, საქართველოს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რათა გარე თუ შიდა მტრების მხრიდან მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში, ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შევინარჩუნოთ და არ დავუშვათ ის, რაც ჩვენს მეზობელ უკრაინაში ხდება, ის, რაც 2008 წელს გამოვიარეთ. არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქალაქების, სოფლების და ჩვენი შვილების თავზე ცეცხლის წვიმა მოდიოდეს!

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბეწვის ხიდზე სიარულისას, ბრძოლის მთავარი ხაზი გადიოდა ჩვენს დამოუკიდებლობაზე, მშვიდობაზე, თავისუფლებაზე, ჩვენი რწმენის, კულტურის, ისტორიის და იმ ღირებულებების დაცვაზე, რისთვისაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გავერთიანდით!

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შეძლო, რომ ამ ბეწვის ხიდზე საქართველო და ჩვენი მოსახლეობა გამარჯვებით, 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობით ეტარებინა და ახლა, როცა ამ რთული გზის ბოლო მონაკვეთს გავდივართ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ერთიანობის უპრეცედენტო მაგალითი და 26 ოქტომბრის არჩევნებზე, ქუდზე-კაცი გამოვიდეთ, რათა ვერავინ ვერასდროს გაბედოს, რომ იოტისოდენა ეჭვი მაინც შეიტანოს „ქართული ოცნებისადმი“ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაში. ვერავინ შეიტანოს მცირეოდენი ეჭვი იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა ირჩევს არა ომს, არამედ, მშვიდობას; არა – უცხო ქვეყნის აგენტებს, არამედ, ქართველი ხალხის ინტერესების დამცველ გუნდს; არა – ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებს, არამედ, ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს; არა – იმ კატეგორიულად მიუღებელ მოცემულობას, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ, არამედ, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალს!

ამიტომაც, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. საკონსტიტუციო უმრავლესობა იმისთვის, რომ:

ჯერ არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, ხოლო შემდეგ, კანონის მთელი სიმკაცრით გასამართლდეს კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რეჟიმი, რომელმაც საკუთარ მოსახლეობას ტერორი, მკვლელობა, წამება არ აკმარა და ომის ქარ-ცეცხლი დაატეხა თავს;

იმისთვის, რომ საქართველოს ჩვენი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართავდეს და არა უცხო ძალების აგენტებით დაკომპლექტებული კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“;

იმისთვის, რომ ერთად ავისრულოთ დიდი ხნის ნატვრა და მშვიდობის გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზე, კვლავაც გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო;

იმისთვის, რომ სამუდამოდ დავასრულოთ ოჯახის, ეროვნულობის, რწმენის შეურაცხყოფის და დაკნინების მუდმივი მცდელობები და მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი გაძლიერების და დაცვის მიზნით, კონსტიტუციაში ავსახოთ მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის როლი!

ასე რომ, 26 ოქტომბერს, დღის წესრიგში არა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის, არამედ, საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დგას!

უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას დამოუკიდებელი და მშვიდობიანი საქართველო დავუტოვოთ, ამიტომაც, 26 ოქტომბერს კვლავ უნდა გავერთიანდეთ და გავიმარჯვოთ!



ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!

გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და გაბრწყინებულ საქართველოს!“

ექსპრემიერმა 12-წლიანი დუმილი საჯარო ლექციით დაარღვია

მაკა რუხაძე

12 წლის წინ, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საჯაროდან კერძო სექტორში გადაინაცვლა. 12 წელია, დუმილს ამჯობინებს და სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მრჩევლის ფუნქციას ასრულებს. პოლიტიკურ კულუარებში ჭორაობენ, რომ ნიკა გვარამიას, ნიკა მელიას, ელენე ხოშტარიასა და ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ახალ კოალიციას სწორედ ნიკა გილაური აფინანსებს. გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრობის ერთ-ერთი, სავარაუდო კანდიდატი, რომელიც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უნდა დაასახელოს, დიდი ალბათობით, გილაურია.

ჭორები-ჭორებად, მაგრამ 5 ოქტომბერს, ნიკა გილაურმა 12-წლიანი დუმილი დაარღვია და საჯარო ლექცია გამართა, სადაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების არსებულ შესაძლებლობებზე ისაუბრა. მან თავადვე აღნიშნა, რომ 12 წელია, ინტერვიუ არ მიუცია და პოლიტიკური განცხადება არ გაუკეთებია. მართალია, ბევრს „ჭორაობენ", რომ თუ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიცია გაიმარჯვებს, შესაძლოა, ისევ პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოგვევლინოს, გილაურმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა... „ვერსია" ყოფილი პრემიერ-მინისტრის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, თუმცა მანამდე, ნიკა გილაურის ბიოგრაფია გავიხსენოთ.

მდიდარი ნიკა გილაურის „მოკრძალებული" ქონებრივი დეკლარაცია

ექსპრემიერის ბიოგრაფია

დაიბადა თბილისში, 1975 წლის 14 თებერვალს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1998 წელს დაამთავრა ინგლისის ბიურნემოუტნის კოლეჯის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები; 1999-2000 წლებში სწავლობდა საერთაშორისო ბიზნეს-მენეჯმენტს ფილადელფიის ტემპლის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში.

1999 წლიდან მუშაობდა დუბლინის საერთაშორისო საფინანსო ცენტრში; 2000 წელს იყო ფილადელფიის მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრის ფინანსური კონსულტანტი; 2001 წლიდან – „საქართველოს ტელეკომის" ფინანსური კონსულტანტია; 2002 წლიდან – ესპანური კონსორციუმის „იბერდროლას" ფინანსური კონსულტანტი; 2003-2004 წლებში – ირლანდიური კომპანია „ი ეს ბი"-ის „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მენეჯმენტ-კონტრაქტორი და ფინანსური მაკონტროლებელია; 2004 წლიდან, ნიკა გილაური საქართველოს ენერგეტიკის მინისტრია; 2007-2009 წლებში – საქართველოს ფინანსთა მინისტრი; 2009-2012 წლებში – საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო.

2010 წლის იანვარში, ნიკა გილაური ყოფილ მოდელსა და „მის საქართველო 2004"-ის მონაწილე – მარინე შამუგიაზე დაქორწინდა. წყვილს ერთი შვილი ჰყავს – მარი გილაური.

საჯარო სექტორის დატოვების შემდეგ, ნიკა გილაურმა დააფუძნა საკონსულტაციო კომპანია Reformatics, გარდა ამისა, ის McKincey & Co-ს უფროსი მრჩეველიცაა. 2012 წლიდან დღემდე, ნიკა გილაურმა აღმოსავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის 30-მდე ქვეყნის მთავრობას გაუწია კონსულტაცია ისეთ საკითხებში, როგორებიცაა სახელმწიფო მმართველობა, ანტიკორუფციული, მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა. მანვე გასცა რეკომენდაციები ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების, ენერგეტიკის, სოციალური, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში.

გილაურის ქონება

სულ ბოლოს, ქონებრივი დეკლარაცია ნიკა გილაურმა, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, 2012 წლის 17 მაისს შეავსო.

დეკლარაციაში მითითებული არ არის, ფლობს თუ არა ბინას, სახლს, მიწის ნაკვეთს ან ავტომობილს ნიკა გილაური ან მისი მეუღლე. მოკლედ, უძრავ-მოძრავის ქონების შესახებ ქონებრივ დეკლარაციაში არაფერია მითითებული.

გარდა ამისა, ნიკა გილაურის ოჯახი არ ფლობს ფასიან ქაღალდებს, რომლის თითოეული ღირებულება აღემატება 10 000 ლარს. რაც შეეხება მის საბანკო ანგარიშებს, დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ნიკა გილაურს გახსნილი ჰქონდა ანგარიში საქართველოს ბანკში, მაგრამ ირკვევა, რომ თურმე არაფერი ერიცხებოდა. დეკლარაციის შევსების დროს, მას ხელთ არ ჰქონდა ნაღდი ფული, რომელიც აღემატებოდა 4 000 ლარს. ნიკა გილაური არ მონაწილეობდა კომერციულ საქმიანობაში და შესაბამისად, იქიდან შემოსავალსაც არ იღებდა.

რაც შეეხება უშუალოდ მის, როგორც პრემიერ-მინისტრის შემოსავალს. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, საქართველოს პრემიერ მინისტრის პოსტზე, ნიკა გილაურის ანაზღაურება 152 150 ლარი ყოფილა.

ვინაიდან ნიკა გილაურის დეკლარაციაში, წლიური ხელფასის გარდა, ხელჩასაჭიდი არავითარი ინფორმაცია არ არის მითითებული, 2008-2011 წლების ფინანსურ დეკლარაციების მიმოხილვას შემოგთავაზებთ და აქვე გეტყვით, რომ 2008-2011 წლებში, სახელფასო ანაზღაურების სახით, მან 465 980 ლარი აიღო.

ყოფილი პრემიერის 2008, 2009, 2010 და 2011 წლების ფინანსური დეკლარაციების შედარებისას აღმოჩნდა, რომ გილაურმა 2008 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ფინანსთა მინისტრის პოსტზე, ხელფასის სახით, 113 800 ლარი აიღო; 2009 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, პრემიერის თანამდებობაზე – 73 789 ლარი; 2010 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე – 126 241 ლარი; ხოლო 2011 წლის ანალოგიურ პერიოდში, გილაურმა 152 150 ლარი გამოიმუშავა.

ამასთან, დეკლარაციის ერთ-ერთი გრაფა – „თქვენი, თქვენი ოჯახის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფული, რომლის ოდენობა 4000 ლარს აღემატება", 2008-2011 წლების დეკლარაციებში ცარიელია.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, 2008 წელს, ნიკა გილაურს საქართველოს ბანკში ორი საბარათე და ერთი საკრედიტო ანგარიში ჰქონდა გახსნილი, რომელთაგან ერთ საბარათე ანგარიშზე, ნაშთის (კრედიტი ან დებეტი) სახით – 0 ლარი, მეორეზე კი – 6 861.60 ლარი ირიცხებოდა. რაც შეეხება საკრედიტო ანგარიშს, პრემიერს 30 000-დოლარიან საკრედიტოზე, დეკლარაციის შევსების მომენტში, 23 582.02 დოლარი ჰქონდა დარჩენილი. გარდა ამისა, პრემიერს საბარათე ანგარიში თიბისი ბანკშიც ჰქონდა გახსნილი, რომელზეც არაფერი ერიცხებოდა.

უკვე 2009 წლის დეკლარაციის თანახმად, ნიკა გილაურს საქართველოს ბანკში ორი საკრედიტო და ერთი სახელფასო ანგარიში ჰქონდა, მაგრამ არცერთზე არანაირი თანხა არ უფიქსირდებოდა.

რაც შეეხება 2010 წლის ფინანსურ დეკლარაციას, გილაურს საქართველოს ბანკში გახსნილი ორი სახელფასო ანგარიშიდან ერთზე, ნაშთის სახით – 4 833.35 აშშ დოლარი (კრედიტი), მეორეზე კი – 6 000 აშშ დოლარი (დებეტი) ერიცხებოდა. გარდა ამისა, პრემიერს საქართველოს ბანკში საკრედიტო ანგარიშიც ჰქონდა გახსნილი, მაგრამ თანხა არ უფიქსირდებოდა.

2011 წლის დეკლარაციის მიხედვით, გილაურს საქართველოს ბანკში ორი საკრედიტო და ერთი სახელფასო ანგარიში ჰქონდა გახსნილი, თუმცა დეკლარაციის შესაბამის გრაფაში ნაშთის სახით არანაირი თანხა არ ფიქსირდება.

გილაურების უძრავ ქონებას რაც შეეხება, 2008-2011 წლების დეკლარაციას თუ ვენდობით, პრემიერსა და მისი მეუღლეს, მარინა შამუგიას საკუთრებაში არანაირი უძრავი ქონება არ გააჩნიათ.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას (თითოეულის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება, ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშების, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), დეკლარაციის შესაბამისი გრაფა, როგორც 2008, 2009, 2010, ისე 2011 წელსაც ცარიელია.

ამასთან, 2008-2011 წლების დეკლარაციის მიხედვით, გილაურის ოჯახის არცერთი წევრი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სამეწარმეო საქმიანობას არ ეწეოდა.

ასევე, არც პრემიერ-მინისტრს და არც მის მეუღლეს, 2008-2011 წლების განმავლობაში, ფასიანი ქაღალდები არ გააჩნდა.

დეკლარაციას თუ ვენდობით, 2008 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე 2009 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და 2010-2011 წლების ანალოგიურ პერიოდებში, გილაურებს 500 ლარზე მეტი ღირებულების საჩუქარი არ მიუღიათ.

ასევე, დეკლარაციის ერთ-ერთი გრაფა – „წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი ან გასავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 1500 ლარს და არ არის მითითებული ამ დეკლარაციის სხვა ფურცლებზე" – 2008, 2009, 2010 და 2011 წლებში, ცარიელია.

გორისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების აუდიტები გენერალურ პროკურატურაში

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების შეხსენებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, გორისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტებს გთავაზობთ. სახელმწიფო მაკონტროლებლებმა ორივე მუნიციპალიტეტში გამოვლენილი დარღვევები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

დარღვევები გორის მუნიციპალიტეტში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ გორის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო საბიუჯეტო გადასახდელების, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება. შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 18% და 24% დააკლდა. ამასთან, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

„2020 წლის აპრილიდან 2022 წლის აპრილამდე პერიოდში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არაავთენტური დოკუმენტაციის საფუძველზე, თანხები სისტემატურად ირიცხებოდა კონკრეტული ფიზიკური პირის ანგარიშებზე. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 375 000 ლარი არამართლზომიერად დაიხარჯა. მუნიციპალიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველჰყო ფაქტის გამოვლენა და თავიდან აცილება, რაც მის არასათანადო ფუნქციონირებასა და ფორმალურ ხასიათზე მიანიშნებს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გორის მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 546 800 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ წარმართა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და მართვის პროცესები. შედეგად, 407 000 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, ვერ უზრუნველჰყო დასახული მიზნის მიღწევა.

„სამუშაოების სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულების მიზნით, გორის მერიამ განახორციელა გამარტივებული შესყიდვები, თუმცა ვერ მოახერხა პროცესის სწორად წარმართვა და მიმწოდებლების იმგვარი შერჩევა, რაც უზრუნველჰყოფდა სამუშაოების დროულად დასრულებას. 19-დან 15 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სასწავლო წლის დაწყებამდე არ დასრულდა. მათ შორის, დაგვიანდა 13 სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ორი სკოლის შემთხვევაში, მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხელშეკრულება შეწყდა“.

გორის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველჰყოფდა სათანადო რწმუნების მიღებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა შემსყიდველის პირობებს.

„ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო მომსახურების შესყიდვისას, გორის მერიამ ვერ უზრუნველჰყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. სატენდერო კომისიამ სათანადოდ ვერ დაადასტურა საბუთა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება, შეწყვიტა სატენდერო პროცედურები და გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული წესით, გაუარესებული პირობით (მაღალ ფასად) გააფორმა ხელშეკრულება, რის შედეგადაც 144 200 ლარი დაიხარჯა არაეკონომიურად“.

გორის მერიის მიერ სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრისა და მათ შესრულებაზე დანერგილი კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხები შემცირებულია დაუსაბუთებლად. შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ვერ მიიღო 58 500 ლარის შემოსავალი.

„გორის მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველჰყოფს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საფასურის სათანადო ადმინისტრირებას. რიგ შემთხვევებში მის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია, რის გამოც 2021 წლის ბოლოს, მოსარგებლეების მიერ გადაუხდელი დავალიანება, ჯამურად – 228 700 ლარს შეადგენს. წინა პერიოდში გაფორმებული და მოქმედი ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასური არ შეესაბამება მიმდინარე საბაზრო ფასებს. ხელშეკრულებების ნაწილი არ ითვალისწინებს ქირის გადაუხდელობის/დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებას, რაც უარყოფითად აისახება საფასურის ადმინისტრირებაზე. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას“.

დასასრული მე-8 გვერდზე

გორისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების აუდიტები გენერალურ პროკურატურაში

მე-7 გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ გორის მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

სამწუხაროდ, გორის მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი, მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი სრულად არ იწმინდება. გამრიცხველიანების მიუხედავად, წყლის გადასახადი არ იკრიფება, რაც იწვევს სასმელი წყლის უკონტროლო ხარჯვასა და დეფიციტს. შედეგად, საბიუჯეტო სახსრები წყალმომარაგებისათვის არაეკონომიურად და არაპროდუქტიულად იხარჯება.

დარღვევები დუშეთის მუნიციპალიტეტში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტის გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 31% დააკლდა. ამასთან, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

„დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 3 711 100 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

52 შესყიდვის შემთხვევაში, დუშეთის მერიამ ვერ უზრუნველჰყო შესყიდვების პროცესის სწორად წარმართვა, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და მიმწოდებლების შერჩევა სათანადო ბაზრის კვლევის საფუძველზე, მათ შორის, ხუთ შემთხვევაში ხელშეკრულებები გაუფორმდათ ისეთ მიმწოდებლებს, რომელთა გამოცდილების შესახებ მერია ინფორმაციას არ ფლობდა. აღნიშნულმა კომპანიებმა ვერ შეძლეს სამუშაოების დასრულება და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები“.

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნების დაცვა; მერიამ მიმწოდებლები შეარჩია და ხელშეკრულებები გააფორმა ისეთ კომპანიებთან, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება. შედეგად, 1 868 300 ლარის სამუშაოები ვერ შესრულდა, ხელშეკრულებები შეწყდა და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი სარგებელი.

„დუშეთის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართა ხარვეზებით და დაარღვია მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი. სატენდერო პირობები მოიცავდა შემზღუდავ და ბუნდოვან მოთხოვნებს, რომლებმაც შესაძლოა, გამოიწვია პოტენციურ მიმწოდებელთა ბაზრის შეზღუდვა და სახელმწიფო შესყიდვების მორგება კონკრეტული მეწარმე სუბიექტის ინტერესებზე.

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტის არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა 36 700 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას შეისყიდა 114 800 ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც არ გამოუყენებია. პროექტების შეძენაზე გაწეული ხარჯი შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტიან ხარჯად. ამასთან, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და სხვადასხვა გარემოების (მათ შორის, ობიექტის მდგომარეობა) ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

„დუშეთის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად ზრდიდა მიწოდების ვადებს და აზიანებდა შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობს ხარვეზებით. დუშეთის მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 466 000 ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში, დუშეთის მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები. მერიამ მიმწოდებლებს არ დაარიცხა საჯარიმო თანხა – 28 400 ლარი, ასევე ვერ უზრუნველჰყო 330 300 ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები გააფორმა საზოგადოებრივი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების საფუძვლით, თუმცა ვერ უზრუნველყო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოების დროული შესრულება. შესაბამისად, მოსახლეობას ინფრასტრუქტურული სერვისი მიეწოდა დაგვიანებით. 2020 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ შესრულდა 66%-ით, ხოლო 2021 წელს – 69%-ით.

დაგეგმვასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების გამო, დუშეთის მუნიციპალიტეტი დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მართავდა ხარვეზებით, კერძოდ, არ იყო დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება; რიგ შემთხვევაში, თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამებოდა.

„სამწუხაროდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ, მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი; მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; დაწესებული არ არის წყლის გადასახადი, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება.

ქონების განკარგვის პროცესი დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ნაკლოვანებებით: ქონების ნაწილს, შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე, იყენებენ არაუფლებამოსილი პირები და ქირას მუნიციპალიტეტს არ უხდიან. მუნიციპალური შპს-ები მათზე უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემულ ქონებას სასყიდლიანი სარგებლობით გასცემენ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების და ქონების გაქირავების რეალური საბაზრო ფასის დადგენის გარეშე“.

აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მუნიციპალიტეტის დადგენილებით განსაზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვას, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

2020-2021 წლებში, მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 111 800 ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ“.

მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით 20 000 ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო მაკონტროლებლების დასკვნით, დუშეთის მერიაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესი წარიმართა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზით. დაინტერესებულ პირებს არ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ, არ შესრულდა საკანონმდებლო მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისთვის.

კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, დუშეთის მერიამ ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობის ფაქტების დადგენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, უნებართვო მშენებლობის ფაქტები მერიამ – დაგვიანებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ ვერ გამოავლინა და მშენებლობის შეჩერების მიზნით არ განახორციელა სათანადო რეაგირება.

სამართალი

№33 9 ოქტომბერი 2024 წ

თბილისის გარეუბანში ლომბარდის მეპატრონე მოკლეს

„გამაძღარ და უნამუსო ადამიანს საკადრისი მივუზღე“ – მკვლელის აღიარება

ბათო ჯაფარიძე

ლომბარდი – სიტყვა, რომელიც დღესაც კი ხშირად ასოცირდება გაჭრვებასთან და თუ არ გიჭირს, ლომბარდში არ მიდიხარ. ამ დაწესებულებაში პირობებიც სხვანაირია, ზოგან რაღაცას გპატიობენ, ზოგან – არა, თუმცა ალბათ, ათეულ ათასობით შემთხვევა ყოფილა, როცა გიფიქრია, რომ ლომბარდში დატოვებ რაღაც ნივთს, შემდეგ მიაკითხავ, გამოიტან და... ვეღარ გამოგაქვს, კარგავ... არცთუ იშვიათადაა შემთხვევა, როცა ლომბარდს ძარცვავენ, აყაჩაღებენ, ღამით ქურდავენ, რადგან ყველა კრიმინალმა იცის, რომ იქ შეიძლება ძალიან მსუყე რამ იპოვოს თუ მოიპაროს, თუმცა ასეთ დროს, ყოველთვის ერიდებიან მკვლელობას, საკმარისია, შეხვიდე და ნივთები წაიღო, რადგან იცი, რომ თავს არავინ შემოგაკლავს, ლომბარდში ხომ, ძირითადად, დაქირავებული მუშა-ხელი შრომობს და მეპატრონეები იქ მხოლოდ ფულის ასაღებად თუ დასათვლელად მიდიან.

ასეა თუ ისე, 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, როცა ლომბარდები უცხო და ცოტა არ იყოს, საშიში ხილი იყო, დედაქალაქის გარეუბანში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლომბარდი დააყაჩაღეს და მისი მეპატრონე მოკლეს. გარდაცვლილს ტყვია პირდაპირ შუბლში ჰქონდა ნასროლი ანუ ისე, რომ გადარჩენის მინიმალური შანსიც არ იყო. სამართალდამცავები ადგილზე მალე მივიდნენ, თუმცა ბევრი ვერაფერი გაიგეს, რადგან ლომბარდის მეპატრონე სამსახურში მარტო იმყოფებოდა, თვითმხილველი არავინ იყო და გარდა იმისა, რომ წაღებული გახლდათ ყველაფერი, რაც გამოსაჩენ ადგილზე იდო, გახსნილი იყო სეიფიც, რომელიც ცარიელი გახლდათ.

„სეიფი ნაწვალები არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ მეპატრონემ კოდი უთხრა ანუ ის თანახმა იყო, მიეცა ყველაფერი, ოღონდ კი ცოცხალი დარჩენილიყო, მაგრამ მაინც მოკლეს. გამორიცხულია, თავდამსხმელი, ან თავდამსხმელები ნიღბის გარეშე ყოფილიყვნენ, რადგან ყოველთვის არის შანსი, ვიღაც მოვიდეს, შემოიხედოს, შიგნით იყოს და მთელ ბატალიონს ხომ არ დახოცავ? წესითა და რიგით, მეპატრონე არ უნდა მოეკლათ“, – ხმამაღლა ფიქრობდა გამომძიებელი და მისი მსჯელობა სავსებით ლოგიკური იყო.

თავდამსხმელებმა წაიღეს ყველაფერი, მაგრამ დარჩათ აღრიცხვის ჟურნალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოძიებას მარტივად შეეძლო ენახა, რა მოიპარეს, როგორი ზომა-წონის და სად უნდა ეძებნათ ეს ნივთები. დალომბარდებულ ოქროულს შორის იყო იაფფასიანი ანუ მცირე წონის ნაკეთობები და იყო დიდი ზომის სამკაულებიც. რაც მთავარია, ლომბარდის მეპატრონეს, პრაქტიკულად, ყველასთვის ფოტო ჰქონდა გადაღებული, რაც მათ მოძიებას უფრო ამარტივებდა. მთავარი იყო, ერთი ნივთი ეპოვათ, შემდეგ კი საქმეს იოლად გახსნიდნენ.

ექსპერტიზის დასკვნა სანუგეშო არ იყო. ტყვიამ არაფერი თქვა, სავარაუდოდ, ის საქართველოში არ იყო ნაყიდი და არც – აღრიცხვაზე, რუსეთში კი... მაშინ, რუსეთის იმპერია უკვე ნახევრად დაშლილი იყო და ტყვიის გულა იქ რომც გაეგზავნათ, პასუხი, საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე თვის შემდეგ თუ ჩამოაღწევდა... ან საერთოდ არ ჩამოაღწევდა. ამიტომ, ქართველი მაძებრები ისევ საკუთარი თავისა და იმ აგენტურის იმედად იყვნენ, რომლებიც ნელ-ნელა ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ძალოვნების მარწუხებისაგან. სწორედ აგენტურული ქსელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგა ძიება სწორ კვალზე და საბოლოოდ, საქმის გახსნამდე მივიდა, მაგრამ ეს რთული გზა იყო.

„თბილისში გამოჩნდა ვიღაც უზბეკი თუ ყაზახი, რომელიც იარაღს ყიდის. ალბათ, რუსეთიდან, ან სამშობლოდან ჩამოიტანა, რადგან ჩვეულებრივი „მაკაროვების“ გარდა, აქვს „ტე-ტე“, „ნაგანი“ და „მაუზერიც“ კი. ასეთი იარაღის შოვნა კი, ქართულ ბაზარზე აქამდე შეუძლებელი იყო“, – თქვა ერთ-ერთმა აგენტმა, მაგრამ... მან არ იცოდა, სად ცხოვრობდა ის აზიელი და ძალოვნებმაც მისი ძებნა მთელი თბილისის მასშტაბით დაიწყეს. ორდღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ (სასტუმროებში ასეთი არავინ იყო), ოპერმუშაკები გარეუბნებს მოედნენ და მალე გაიგეს, რომ მათთვის საინტერესო პიროვნებას ერთოთახიანი ბინა ჰქონდა ნაქირავები და კარს მხოლოდ ერთ ქართველს უღებდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ის მარტო იყო. ფულიც მას მიჰქონდა და იარაღიც მას გამოჰქონდა. კარი რკინის გახლდათ, სართული – მეშვიდე და შესაბამისად, კარის შემტვრევა, ან ფანჯრიდან შეუმჩნევლად შესვლა გამორიცხული იყო. საჭირო გახდა იმ ქართველ შუამავალზე მოეძებნათ რამე და პრინციპში, ბევრი არც უფიქრიათ – ის დააკავეს და წინ ნახევარი კილო ნარკოტიკი დაუდეს, თუ არ დაგვეხმარები, ამ ნაარკოტიკს შენს ბინაში „ვიპოვით“ და 10 წელს ისე მოგცემთ, თვალსაც არ დავახამხამებთო.

„მასთან ერთად ჯარში ვმსახურობდი, როგორც ხდება ხოლმე, ტელეფონები გავცვალეთ და ამას წინათ დამირეკა, თბილისში ვარო. გამიხარდა, ერთმანეთს შევხვდით, რესტორანში ვიქეიფეთ და მერე მითხრა, იარაღის გაყიდვა მინდა, სუფთა იარაღია, არავინ მოუკლავთო. კი იცით, როგორ ჭირს ცხოვრება და დავთანხმდი. რაც შეეხება „მაკაროვს“, რომლითაც ვიღაც მოუკლავთ, ალბათ, ჩვენია, მაგრამ... ხუთი ცალი გავყიდე და მხოლოდ სამ მათგანს ვიცნობ, დანარჩენები, „ჩერეზ“ ძმაკაცებით მოვიდნენ და არ ვიცი, საბოლოოდ ვის ხელში მოხვდა. თუ „გამიბაზრებთ“, რომ ჩავუშვი, ისინიც დაიკარგებიან და მეც აღარაფერში გამოგადგებით“, – განაცხადა დაკავებულმა.

სამართალდამცავებმა ჯერ იმ სამის შემოწმება გადაწყვიტეს, რომლებიც დაკავებულმა დაასახელა. სამივე მათგანი ძალოვნებისთვის კარგად იყო ნაცნობი და მაშინვე შეთანხმდნენ, რომ ისინი მკვლელობაზე არ წავიდოდნენ. ორს იარაღი უბრალოდ „საბლატაოდ“ უნდოდა, ერთი კი ძარცვით იყო დაკავებული, მაგრამ არასდროს არავინ მოუკლავს, არც დაუჭრია. ამიტომ, საჭირო იყო იმ ორის დადგენა და ორდღიანი წვალების შემდეგ, დაადგინეს კიდეც, თუმცა... ერთი მათგანი თუ კრიმინალი იყო, მეორეს ჭიანჭველაზე ფეხიც კი არ ჰქონდა დაბიჯებული და წესით, არც იარაღის ინტერესი უნდა ჰქონოდა.

„საინტერესო სწორედ ეს უწყინარი ტიპია. ლომბარდის დაყაჩაღება და მკვლელობა ერთმანეთში არ ჯდება, ამიტომ მას უნდა ვუთვალთვალოთ“, – თქვა გამომძიებელმა.

თვალთვალმა არაფერი მოიტანა, კაცი ელექტრიკოსად მუშაობდა, ბევრი საქმე არ ჰქონდა და სამსახურის შემდეგ, მუდმივად სახლისკენ მიიჩქაროდა, სადაც ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი ელოდა. ორჯერ იყო შემთხვევა, ვიღაცებმა დახმარება რომ სთხოვეს, დაეხმარა, ჯამაგირიც აიღო და ისევ შინ დაბრუნდა ანუ არაფერს აკეთებდა ისეთს, სამართალდამცავებს რომ ეჭვი კრიმინალზე აღძროდათ. „დახმარება“ კი იქიდან მოვიდა, საიდანაც არავინ ელოდა – ერთ-ერთ ლომბარდში, ოქროს დანაწევრებული ყელსაბამი „ჯართად“ ჩააბარეს და როცა მეპატრონემ ყელსაბამის ნაკუწები შეაერთა, მიხვდა, რომ მას სწორედ ის ნაყაჩაღარი ნივთი შეტენეს, რომელსაც ძალოვნები ეძებდნენ. რა თქმა უნდა, მან სამართალდამცავებს დაურეკა და მომხდარის შესახებ აუწყა. ჯაჭვი რგოლებად იკვრებოდა – ის, ვინც ლომბარდში მოპარული ნივთი ჩააბარა, ელექტრიკოსის თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი იყო. თანაც, მისგან განსხვავებით, ციხეში ორჯერ ყოფნა მოესწრო და ორივე შემთხვევაში, ყაჩაღობის ბრალდებით. გამომძიებელს ბევრი არ უფიქრია, ისე გამოსთხოვა პროკურორს დაკავებისა და ბინის ჩხრეკის ორდერი და დაკავებაც უხმაუროდ მოხდა. მის ბინაში, პრაქტიკულად, ყველა იმ მოპარულ ნივთს მიაგნეს, რომელიც ლომბარდიდან წაიღეს. ამავდროულად, ოპერებმა სანიმუშოდ იმუშავეს და დაადგინეს, რომ დაყაჩაღებულ ლომბარდში, მიბარებულ ნივთებს შორის, ერთ-ერთი ელექტრიკოსს ეკუთვნოდა და სწორედ მას ჰქონდა დატოვებული.

„დამალვას აზრი არ აქვს. ჩემმა თანაკლასელმა და საუკეთესო მეგობარმა მითხრა, ლომბარდი დავაყაჩაღოთ და მე მხოლოდ ერთი ნივთი მინდა, დანარჩენი არ მაინტერესებსო. დავთანხმდი, რადგან ასეთ წინადადებას სხვა არავინ შემომთავაზებდა. საქმეზე წავედით და წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, როცა ყველაფერი მოვაგროვეთ, უნდა წამოვსულიყავით და... ჩემმა მეგობარმა იარაღი ამოიღო, ლომბარდის მეპატრონეს წინ დაუდგა, ნიღაბი მოიხსნა, მერე კი შუბლში ტყვია დააჭედა. შეთანხმებისამებრ, მხოლოდ ერთი ნივთი აიღო, დანარჩენი მე წამოვიღე და არ მეგონა, თუ დანაკუწებული ძეწკვით მიპოვნიდით“, – განაცხადა დაკავებულმაა. ოპერები ელექტრიკოსის დასაკავებლად გავიდნენ.

„არ მეგონა, თუ ასე მალე მიპოვნიდით. დიახ, მე მოვკალი ის არაკაცი, ის არაადამიანი. სამამულო ომის დროს, ბებიაჩემი გერმანელებთან ტყვედ ჩავარდა და ჰქონდა გულსაბნევი, მოოქროვილი, რომელიც გადამალა, თურმე, თავადაც ბებიისგან ერგო. იმ გულსაბნევმა მთელი ომი გამოიარა და მემკვიდრეობით მე, უფრო სწორედ, ჩემს მეუღლეს გადაეცა. ამას წინათ, ცოტა ფული დამჭირდა, სხვა არაფერი მქონდა და ის გულსაბნევი დავალომბარდე, როგორც ძველებური ნივთი. თვის ბოლოს მივედი და მეპატრონეს ვუთხარი, ფულს ორ დღეში მოგცემ, არ გამიყიდო-მეთქი. თავი დამიქნია და ორ დღეში რომ მივედი, ასე მითხრა, ან იმაზე სამჯერ მეტს გადამიხდი, რაც მოგეცი, ან ნივთი დაივიწყე, კანონით შემიძლია, აღარ დაგიბრუნოო. ვეხვეწე, ვემუდარე და სულ მათხოვარი და ბოგანო მეძახა, შენნაირები არც უნდა იბადებოდნენ, უბრალოდ არსებობო. ვუთხარი, რომ ფულს ორ დღეში მივუტანდი და იმ ორ დღეში დასაყაჩაღებლად მივედი. რატომ ვესროლე? პირველად, ცხოვრებაში პირველად მომეშვა, რომ გამაძღარ და უნამუსო ადამიანს საკადრისი მივუზღე“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლო მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბიძის მკვლელი

როგორ გახდა არასრულწლოვანი გოგონა სისხლიანი დანაშაულის ინიციატორი

ბათო ჯაფარიძე

არცთუ დიდი ხნის წინ, მეგობარი კაფეში საუზმობდა, როცა ახალგაზრდა გოგო მიუჯდა და სთხოვა, მეც გამიმასპინძლდიო. ნელ-ნელა, საჭმელს ცოტა კონიაკი მიაყოლეს, მერე კიდევ ცოტა, მერე კიდევ და ამ დროს, კაფეში მეგობრის ნაცნობი შემოვიდა, მიესალმა, მოიკითხა, შემდეგ გოგონას შეხედა, მეგობარი გვერდით გაიყვანა და ჩუმად უთხრა, ამასთან რამე არც იფიქრო, ჩემი მეზობელია, არასრულწლოვანიაო. მანაც, ანგარიში გაასწორა და კაფე დატოვა...

სამწუხაროდ, დღეს იშვიათად არ ხდება, რომ არასრულწლოვანი გოგონები ცდილობენ დიდები გამოჩნდნენ, ახალგაზრდა ბიჭებს თავი სრულწლოვნად მოაჩვენონ, მერე კი... მერე ჩივილით იმუქრებიან, ეუბნებიან, რომ განცხადებას დაწერენ პოლიციაში, რომ ყველაფერი ეს მათი თანხმობით არ მოხდა, რომ კაცმა ისინი დაათრო. ხშირად, მათი მსხვერპლი ტაქსის მძღოლები ხდებიან, რომლებსაც შემდეგ, გოგონებისგან თავის დასაღწევად, ავტომობილის გაყიდვა უწევთ და მთელ ფულს მათ აძლევენ. სად არის გამოსავალი? ერთი შეხედვით, მარტივია – არასრულწლოვანი გოგონა, ღამის 12 საათზე და უფრო გვიან, შინ რომ არ არის, მშობელმა უნდა მოიკითხოს, უნდა დაძებნოს, უნდა იპოვოს, მაგრამ ვაი, რომ მშობლის სიბრაზე ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ შვილი 112-ში რეკავს და მშობლის მხრიდან ძალადობაზე საუბრობს. შემდეგ იწყება გამოძიება და საუკეთესო შემთხვევაში, მშობელს შემაკავებელ ორდერსა და გაფრთხილებას აძლევენ, რაც ბავშვს ბოლომდე ხელ-ფეხს უხსნის...

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ დიდ ქალაქში, საწარმოს მთავარი ბუღალტერი მოკლეს. მას დანა გულში ჰქონდა დარტყმული და რაც მთავარია, დაკარგული იყო თანხა, დაახლოებით, 30 ათასი მანეთი. რომ აღიქვათ, რას ნიშნავდა მაშინ 30 ათასი, გეტყვით, რომ ბევრისთვის საოცნებო „ვაზ-21-06“ მარკის ავტომობილი 6-7 ათასი მანეთი ღირდა. რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და თანაც, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს. ეჭვმიტანილი იყო ყველა, ვინც იმ დროს საწარმოში იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ეჭვმიტანილთა წრე შევიწროვდა, რადგან გაირკვა, რომ სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, იქ მხოლოდ შვიდი ადამიანი დარჩა და ამ შვიდიდან ერთ-ერთი იყო მკვლელი.

„წავიდეთ გამორიცხვის პრინციპით – მთავარ ბუღალტერს არ მოკლავდა დამლაგებელი, რომელიც 70 წელს მიტანებული ქალია, არ მოკლავდა მისი ნათესავი ობოლი ბიჭი, რომელიც მან მიიყვანა საწარმოში, მასთან სახლში ცხოვრობდა და პრაქტიკულად, მისი გაზრდილი იყო, არ მოკლავდა საწარმოს დირექტორის მოადგილე, რადგან ის ცაციაა, ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ დარტყმა მარჯვენა ხელით განხორციელდა და ისეთი ძლიერი იყო, მემარცხენე ამას ვერ მოახერხებდა. დარჩა ოთხი ადამიანი – კაცი, რომელიც სტუმრად იყო მისული და თურმე, ბუღალტერს მისი ვალი ჰქონია, საწარმოს დირექტორი, რომელთან ერთადაც შესაძლოა, რამე საქმეში ყოფილიყო გასვრილი, დარაჯი, რომელსაც წესით, მოტივი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ 30 ათასი ნებისმიერისთვის შეიძლება გახდეს მოტივი და მთავარი ეჭვმიტანილი, ყოფილი მთავარი ბუღალტერი, რომელსაც რაღაც დარღვევა უნახეს და რიგით თანამშრომლად გადაიყვანეს საფინანსოში. თანამშრომლები ამბობენ, რომ ეს გარდაცვლილმა „იჩალიჩა“. მოკლედ, ვამუშავებთ ყველა ვერსიას და აზრი არ აქვს რომელიმეს ბინის ჩხრეკას, რადგან ფულს შინ არ დადებდნენ და მეტიც, ისინი ტერიტორიიდან არ გასულან ანუ უდიდესი ალბათობით, ფული საწარმოს ტერიტორიაზეა დამალული, მაგრამ იქ იმხელა სივრცეებია, შესაძლოა, ძებნას წლები მოვანდომოთ და მაინც ვერ ვიპოვოთ, მით უმეტეს, რომ ამბობენ, თანხა სულ ასიანებში იყოო და ეს საკმაოდ მცირე შეკვრაა. ამიტომ, ვეძებთ მკვლელს, რომელიც საბოლოოდ, თანხასაც გვაპოვნინებს“, – განაცხადა გამომძიებელმა.

რა თქმა უნდა, დაკითხვა მთავარი ეჭვმიტანილისგან დაიწყეს, მით უმეტეს, რომ ბევრმა თქვა, ბუღალტრის ოთახში უპრობლემოდ შედიოდა, როგორც იმ განყოფილების თანამშრომელი და რაც მთავარია, იმ დღეს, გარდაცვლილს რაღაცაზე ეკამათა და უყვიროდა კიდეცო. წესითა და რიგით, სწორედ ის უნდა ყოფილიყო მკვლელი, მაგრამ მას ალიბი ჰქონდა და თანაც, რკინის ალიბი.

„გარდაცვლილზე ცუდს არ ამბობენო, მაგრამ მე რომ თანამდებობიდან მომხსნეს, მაგის ბრალია. წარმოდგენა არ ჰქონდა ფინანსებზე, ყველაფერს ისევ მე ვაკეთებდი და მაინც უკმაყოფილო იყო. დიახ, იმ დღეს, მორიგი სისულელე ჩაიდინა, რომელიც ისევ მე უნდა გამესწორებინა და ამიტომ ვყვიროდი, მაგრამ როცა ოთახიდან გამოვედი, იქ დამლაგებელი შევიდა და მერწმუნეთ, დაადასტურებს, მთავარი ბუღალტერი ცოცხალი რომ იყო. მას შემდეგ, დარაჯთან ერთად ვიჯექი და ვსვამდი იმიტომ, რომ გაცოფებული ვიყავი“, – განაცხადა ეჭვმიტანილმა და მის სიტყვებს თუ დაუჯერებდნენ, გამოდიოდა, რომ დარაჯსაც ალიბი ჰქონდა. დარაჯმა ყველაფერი დაადასტურა და ძალოვნებიც სხვებზე გადაერთვნენ, მაგრამ იმასაც ფიქრობდნენ, რომ იყო შანსი, დარაჯსა და ეჭვმიტანილს მოელაპარაკებინათ, ფული გაენაწილებინათ და ერთმანეთისთვის ალიბიც შეექმნათ.

საწარმოს დირექტორი მხრებს იჩეჩდა, დამიჯერეთ, არც მოტივი მქონდა მოკვლის და რაც მთავარია, გესმით ალბათ, რომ არც 30 ათასი მანეთია ის თანხა, რომ მოვხიბლულიყავი და ამის გულისთვის თანამდებობა და კარიერა სასწორზე დამეყენებინაო. მისი სიტყვები ნამდვილად იყო რეალობასთან ახლოს, მაგრამ... ხომ შეიძლებოდა, ბუღალტერს ისეთი რამ სცოდნოდა, ხელმძღვანელის კარიერა დანგრეულიყო? და მთავარი – კაცი, რომლის ვალიც ჰქონდა ბუღალტერს.

„რატომ უნდა მომეკლა? მკვდრისგან რას ამოვიღებდი? ფულის ნაწილი მომცა და ნაწილს მომავალი კვირის ბოლოს დამპირდა. შესაბამისად, იდიოტი უნდა ვყოფილიყავი, რომ მომეკლა და თუ იმას ფიქრობთ, რომ 30 ათასი მანეთი ავიღე და შემდეგ, აქ, ტერიტორიაზე ისევ შემომიშვებენ, რომ ფული ავიღო, ძალიან გულუბრყვილოები ხართ. სხვაგან ეძებთ, სხვაგან“, – განაცხადა მორიგმა ეჭვმიტანილმა.

საინტერესო ის გახლდათ, რომ გარდაცვლილი მისმა ნათესავმა, ობოლმა ბიჭმა იპოვა და შავ დღეში იყო. ჯერ ხომ იქვე, ოთახში აერია გული, შემდეგ გარეთ და ექიმების დახმარება დასჭირდა, რომ დამშვიდებულიყო. მისი დაკითხვა მაინც მოხერხდა.

„საღამოობით მარტო არასდროს მივდიოდი, ყოველთვის ბიძაჩემს ველოდი და ამ დღესაც ასე მოხდა. რომ აღარ გამოვიდა, ოთახში შევედი და დავინახე, რომ სკამზე იყო გადაწოლილი და გულის მხარეს დანის ტარი უჩანდა. კინაღამ გრძნობა დავკარგე, ყვირილი მინდოდა და პირი რომ დავაღე, გული ამერია. გარეთ გამოვვარდი, იქ დავიწყე ყვირილი, მერე ბუნდოვნად მახსოვს. ბოლოს ექიმები მოვიდნენ, რაღაც ნემსი გამიკეთეს და ისევ გული ამერია. არ ვიცი, საეჭვო არავინ და არაფერი დამინახავს“, – არეულად საუბრობდა ბიჭი.

მომხდარიდან მეორე დღეს, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ძალოვნებს საინტერესო რამ უთხრა. მისი აზრით, მკვლელი შეიძლება დამლაგებელი ყოფილიყო, რადგან... მთავარი ბუღალტერი მის შვილიშვილს არ ასვენებდა, ობოლ გოგოს, რომელიც ბებიას აკითხავდა ხოლმე და გარდაცვლილი მუდმივად ავიწროვებდა, ცდილობდა, ფულით მოეხიბლა და სასიყვარულო ურთიერთობაზე დაეთანხმებინა. ეს რაღაც ახალი იყო და ვერსიის გადასამოწმებლად, სამართალდამცავები დამლაგებლის სახლში წავიდნენ. კარი მოხუცმა გააღო და როცა ძალოვნები დაინახა, გაუკვირდა, მგონი, ყველაფერი გითხარითო, მაგრამ მათ შვილიშვილი მოიკითხეს და მოხუცმაც უთხრა, თავის ოთახშია, მეგობარმა მოაკითხა და იმას ესაუბრებაო. გამომძიებელი თანაშემწესთან ერთად, სამზარეულოში ჩამოჯდა და გოგონას დაელოდა. გოგო ოთახში მალე შევიდა და რომ არა საბუთებით დადასტურებული ასაკი, ვერავინ იტყოდა, რომ ის არასრულწლოვანი იყო. მან ბებიას გახედა და გამომძიებელმაც, გოგოს ასაკის მიუხედავად, ბებია სამზარეულოდან გაისტუმრა. გამოცდილი მაძებარი კარგად ხვდებოდა, ბავშვს რაღაც ჰქონდა სათქმელი და ან ახლა იტყოდა, ან არასოდეს და ზრდასრული დამსწრის თანდასწრებით ხმას არ ამოპიღებდა. ახლა მთავარი აღიარება იყო, მერე კი, ყველაფერს ოფიციალურ სახეს მარტივად მისცემდნენ.

„ვიცი, რომ ის კაცი მოკლეს, მაგრამ მე არ მომიკლავს. ობლობაში ვარ გაზრდილი, 5 წლის ვიყავი, მშობლები რომ დაიღუპნენ და ბებია მზრდიდა, თუმცა ყოველთვის გვიჭირდა. მასთან სიარული იმიტომ დავიწყე, რომ მივხვდი, ძალიან იღლებოდა, ვიფიქრე, შევეშველები-მეთქი. იმ კაცმა თვალი დამადგა, ვითომ შემთხვევით მეხებოდა ხოლმე ხან – ფეხზე, ხან – ხელებზე, მერე მკერდზე დამიწყო ხელების ფათური. ჩემი ნებით დავწექი მასთან და სანაცვლოდ ფულს ვართმევდი, არცთუ მცირე თანხას, ჩემი მომავლისთვის მჭირდებოდა, ბებიას მათხოვრული ხელფასით წინ ვერ წავიდოდი“, – თქვა გოგონამ და ამ დროს მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა – სამზარეულოში გარდაცვლილის ნათესავი შემოვარდა, გოგონას დანა მოუქნია და იმის მიუხედავად, რომ ძალოვნებს მყისიერი რეაქცია ჰქონდათ, მკლავი მაინც გვარიანად გაუსერა. რა თქმა უნდა, ბიჭი დააკავეს, რომელსაც ისტერიკა ჰქონდა და გოგოს მოღალატეს ეძახდა.

„როცა ეს გოგო გავიცანი,მივხვდი, რომ მთელი ცხოვრების სიყვარული ვიპოვე. ისიც ობოლი, მეც ობოლი... მერე მითხრა, ბიძაშენმა გამაუპატიურაო და მომენტს ველოდი, რომ მომეკლა. ახლა კი... ახლა გავიგე, რომ თურმე თავის ნებით უწვებოდა და მე მკვლელობა ჩამადენინა. ფული მორალური ზიანისთვის ავიღე, იქვე მაქვს დამალული, განახებთ. გული კი მართლა ამერია, რადგან არ ვარ მოწოდებით მკვლელი და გამზრდელი ბიძა ამ გოგოს ვანაცვალე“, – არეულად ამბობდა ბიჭი და სასამართლომ მას განზრახ მკვლელობისთვის, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

„სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი“ - თუ არ იცით, ეს ფრაზა რომელი ფილმიდანაა, ძალიან ბევრი დაგიკარგავთ. ყველამ საკუთარ თავთან აღიაროს, რამდენი სისულელე ჩაუდენია სიყვარულის გამო, რამდენ მსხვერპლზე წასულა, რომ საყვარელი ადამიანისთვის თავი მოეწონებინა და ყველა ამ სისულელეს თუ სიგიჟეს, ერთადერთი გამართლება აქვს - კეთდება სიყვარულის სახელით. საბედნიეროდ, რომანტიზმი დღემდე შემორჩა, დღესაც ხვდები კორპუსის წინ, ასფალტზე, საგულდაგულოდ გამოყვანილ ასოებსა და ახსნილ სიყვარულს, დღესაც ანთებენ სანთლებს ფანჯრის ქვეშ და დღესაც მღერიან...

„მე სიყვარული მომიკლეს“

რატომ მოკლა ახალგაზრდა მამაკაცმა ბავშვობის მეგობარი

სამართალდამცავებმა ახალგაზრდა ბიჭის გაციებული სხეული სანაგვე ურნასთან იპოვეს. ექსპერტიზა არ სჭირდებოდა იმას, თუ რის შედეგად დადგა სიკვდილი – ბიჭს გულთან დანით მიყენებული ჭრილობა ეტყობოდა და იმის მიხედვით თუ იმსჯელებდნენ, როგორ ეცვა, ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის შეძლებული ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. ასეც გამოვიდა, ბიჭის მშობლები კარგ პოზიციებზე მუშაობდნენ და ერთადერთ შვილს ყოველნაირად ანებივრებდნენ. როგორც ისინი ამბობდნენ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ვის უნდა მოეკლა მათი შვილი, რომელიც სამეგობროს სული და გული იყო და ჯერ სკოლაში, შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ის პირველ კურსზე სწავლობდა, უზარმაზარი სამეგობრო ჰყავდა და სწორედ ამ სამეგობროთი უნდა დაეწყოთ გამომძიებლებსაც.

უმაღლესში მისი მკვლელობა თითქმის არავის გაჰკვირვებია. მეტიც, თანაკურსელებმა თქვეს, რომ მას დიდი სამეგობრო არ ჰყავდა და მხოლოდ ერთადერთ სტუდენტთან მეგობრობდა, თავის თანაკლასელთან, რომელთან ერთადაც ბავშვობიდან მოდიოდა და სასწავლებელშიც ერთად ჩააბარეს.

„რა სამეგობრო და საძმაკაცო? ერთი თავხედი ბიჭი იყო, ეგონა, რომ მისთვის ყველაფერი შეიძლებოდა. ამის გამო, რამდენჯერმე გაილახა კიდეც და ახლო ურთიერთობა არავისთან ჰქონდა. არ ვიცით, რას ეუბნებოდა მშობლებს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ერთადერთ სტუდენტთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა, ისინი 24 საათის განმავლობაში ერთად იყვნენ და თუ ვინმეს რამე ეცოდინება, სწორედ მან უნდა იცოდეს“, – ამბობდნენ თანაკურსელები.

ბავშვობის მეგობარი მორგთან თავდახრილი იჯდა და ცრემლები ღაპა-ღუპით მოსდიოდა. ძალოვნების დანახვაზე თავი ოდნავ ასწია, მერე კი, ისევ ტირილი განაგრძო. სამართალდამცავებს ლოდინის დრო არ ჰქონდათ, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ.

„არ ვიცი, რა გითხრათ. გუშინ ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, სასწავლებლის შემდეგ სახლებში წავედით და მერე შინ დამირეკა, აღარ მოხვიდე, რაღაც საქმე გამომიჩნდა, ერთი კაცი მყავს სანახავიო. აღარ წავედი, მთელი საღამო შინ ვიყავი, დილით კი ეს ამბავი გავიგე. არასდროს ამბობდა, თუ ვინმესთან აპირებდა შეხვედრას და შესაბამისად, მეც არასდროს ვეკითხებოდი“, – განაცხადა მეგობარმა.

ამასობაში, წინა საღამოს მოპარული ავტომობილი იპოვეს და სანამ ბედნიერ მფლობელს დაუბრუნებდნენ, მანქანას შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარდა. რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობდა, რომ მოპარული მანქანა და მკვლელობა ერთმანეთთან კავშირში იქნებოდა, მაგრამ ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ საჭეზე აღმოჩენილი ანაბეჭდები გარდაცვლილს ეკუთვნოდა ანუ ისე გამოდიოდა, რომ მანქანა მან თუ არ გაიტაცა, ყველა ვარიანტში, საჭესთან იჯდა, რადგან ანაბეჭდები სიჩქარის გადამრთველზეც იყო. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ გარდაცვლილის ანაბეჭდები სალონის უკანა ნაწილშიც ბევრი იყო, თუმცა მძღოლის გვერდით სავარძელზე, მინაზე, წინა ნაწილზე, სახელურზე, ანაბეჭდი არ იძებნებოდა, მეტიც, ისინი საგულდაგულოდ იყო გაწმენდილი. სამართალდამცავები ეჭვობდნენ, რომ ყველაფერი ასე კარგად მკვლელმა დაასუფთავა და ის სწორედ მძღოლის გვერდით სავარძელზე იჯდა.

„მანქანის მფლობელს, მისი ოჯახის წევრებს ავუღეთ ანაბეჭდები და სალონში აღმოჩენილს შევადარეთ. იქ არის გარდაცვლილის ანაბეჭდები და კიდევ ერთი, უცხო ადამიანის ანაბეჭდი და ეს ანაბეჭდი ქალისაა“, – ასეთი იყო ექსპერტიზის დასკვნა.

როცა მშობლებმა გაიგეს, რომ მათი შვილის საქმე მანქანის გატაცებასაც უკავშირდებოდა, ხელები გაშალეს, რაღაც გეშლებათ, გამორიცხულია, ჩვენი შვილი ასეთი ყოფილიყოო, მაგრამ... ბავშვობის მეგობარმა დაადასტურა, რომ გარდაცვლილი მანქანებს ხშირად იპარავდა, ოღონდ ყოველგვარი გამოსასყიდის ან სხვა სარგებლის მიღების მიზნის გარეშე, უბრალოდ, სანამ ბენზინი იქნებოდა, სეირნობდა, შემდეგ კი, სადაც ბენზინი გათავდებოდა, ავტომობილსაც იქ მიაგდებდა ხოლმე. მეგობრის სიტყვები ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოს იყო, რადგან სხვა გატაცებული მანქანებიდან აღებული ანაბეჭდები გარდაცვლილისას დაემთხვა და ამას გარდა, ისიც დადასტურებული იყო, რომ ყველა შემთხვევაში, მანქანაში საწვავი არ იყო ანუ გარდაცვლილი მართლა მაშინ ტოვებდა მანქანას, როცა ბენზინი თავდებოდა, თუმცა... ბოლო შემთხვევა გამონაკლისი გახლდათ, მანქანაში საკმარისი ბენზინი იყო და გამოდიოდა, რომ ბიჭი მანამ მოკლეს, სანამ ბენზინი გათავდებოდა. გატაცებული მანქანა და მოკლული ერთმანეთისგან დაახლოებით 40 მეტრში იყვნენ, მაგრამ ბიჭის სხეული გათრეული არ იყო ანუ ის უბრალოდ გაიყვანეს და მოკლეს. აი, რამდენად გაჰყვებოდა უცხოს სასაუბროდ, ან რატომ მოსცილდა მოპარულ მანქანას, ან იჯდა თუ არა იმ დროს მანქანაში ქალი, რომლის ანაბეჭდებიც ნახეს?! ამ კითხვებზე სამართალდამცავებს უნდა ეპასუხათ.

ავტომობილების გატაცების წინა შემთხვევებს საერთო არ ჰქონდათ, გარდაცვლილმა უბრალოდ იცოდა დაქოქვა გასაღების გარეშე, ძირითადად, გვერდითა მინას ამტვრევდა, ქოქავდა და დაქროდა. ჰო, მას ერთხელაც არ მოუხდენია ავარია, მაგრამ... ხომ იყო იმის შანსი, რომ მასთან ერთად უახლოესი მეგობარიც ყოფილიყო ხოლმე და რაც მთავარია, მას სცოდნოდა იმ იდუმალი ქალის ვინაობა, რომელიც წესით მანქანაში უნდა ყოფილიყო და მკვლელობა დაენახა? სამართალდამცავებმა ჯერ ისევ სხვა სტუდენტებს მიმართეს, შეყვარებული ხომ არ ჰყოლიაო და ისევ უცნაური პასუხი მიიღეს – გოგონების მიმართ ძალიან უხეში იყო, ყველას ეუბნებოდა, თუ ვინმე მომწონხართ, მხოლოდ ერთი-ორი ღამისთვის, ცოლის მოყვანას ჯერ არ ვაპირებო. რაც შეეხება მუდმივ მეგობარს, ასეთი გოგონა მას არ ჰყოლია, მაგრამ სამაგიეროდ, ჰყავდა მის მეგობარს, ისიც ბავშვობის შეყვარებული, ისიც მათი თანაკლასელი და ისიც მუდმივად მათთან ერთად იყო. ძალოვნებს მორგთან გოგონა არ ახსოვდათ და გაუკვირდათ კიდეც, თუ ასეთი ახლობლები იყვნენ, რატომ არ მიაკითხაო და მისი ძებნა დაიწყეს. გოგო შინ იყო და თვალებზე ეტყობოდა, რომ მეგობარი მანაც გამოიგლოვა. სამართალდამცავების დანახვა არ გაჰკვირვებია, მაგრამ ბევრიც ვერაფერი თქვა. ყოველ შემთხვევაში, თავად ეგონა, რომ ბევრი ვერაფერი თქვა.

„მანქანით გამომიარა, მგონი, მოპარული იყო, იპარავდა ხოლმე ერთი-ორი საათით, მაგრამ არასდროს ამტვრევდა. მერე სახლთან ჩამომსვა და თქვა, ვიღაცას უნდა შევხვდეო, არ ვიცი, ვის უნდა შეხვედროდა“, – განაცხადა გოგონამ და გამოძიებისთვის ნათელი გახდა, რომ მანქანაში სწორედ მისი ანაბეჭდები იყო.

ამასობაში, სამართალდამცავებმა ისიც შეამოწმეს, მართლა დაურეკა თუ არა გარდაცვლილმა მეგობარს სახლის ტელეფონზე და დადასტურდა, რომ ზარი განხორციელდა, მაგრამ იქვე გამოჩნდა მეზობელი, რომელმაც თქვა, ეგ ბიჭი მთელი საღამო შინ არ იყო, სახლიდან გავიდა და გვიან დაბრუნდ, რომ მივესალმე, ვერც მიპასუხა, ისე აღელვებული იყოო. გამომძიებელს წინათგრძნობა იმასაც კარნახობდა, რომ ბოლომდე გულწრფელი არც გოგო იყო და ამიტომ, გადაწყვიტა, საკმარისზე მეტი სწორედ მისთვის ეთქმევინებინა და იმავე დღეს გოგონა... მკვლელობის ბრლდებით დააკავეს. რა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა ზუსტად იცოდნენ, რომ ის ბიჭს ვერ მოკლავდა, მაგრამ თუ რამე იცოდა, შეეშინდებოდა და აუცილებლად იტყოდა. მოსაზრებამ გაამართლა, გოგომ ხელი გარდაცვლილის უახლოეს მეგობარს დაადო, აქაოდა, სწორედ მას უნდა შეხვედროდა და სწორედ იმ ადგილზე, სადაც მკვლელობა მოხდაო. ძალოვნებმა ბიჭიც დააკავეს.

„მთელი ცხოვრება ვმეგობრობთ – ბაღი, სკოლა, უმაღლესი. უცნაური და რთული ხასიათი ჰქონდა, მშობლებისგან ძალიან იყო განებივრებული, მაგრამ ერთმანეთის მაინც გვესმოდა. ეს გოგო... მთელი ცხოვრება მიყვარდა და მან ეს იცოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც სასწავლებელში ჩავაბარეთ, მითხრა, ეგ გოგო არ გამოგადგება, ნებისმიერ დროს შემიძლია, ლოგინში ჩავიგორო და აბა, ასეთი ცოლი რად გინდაო? არ დავუჯერე და მითხრა, დაგიმტკიცებო. იმ დღეს კი დამირეკა, მითხრა, შემხვდიო და ცხვირწინ ქალის საცვალი ამიფრიალა, შენი გოგოსიაო. ბავშვობიდან მაქვს ჩვევა, დანა მუდმივად ჯიბეში მიდევს და ხელი ინსტიქტურად ჯიბისკენ წავიღე, ამოვიღე და დავარტყი. უხმოდ ჩაიკეცა, იქვე, ჩუმად გათავდა. რას ვფიქრობ? არაფერს, მე სიყვარული მომიკლეს და უსიყვარულოდ კიდევ, საინტერესო არაფერია“, – განაცხადა დაკავებულმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს საქართველოს ოფისის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელთან გაცნობითი შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) საქართველოს ოფისის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელთან. ჯეიმი შაფელბარგერთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

ალექსანდრე დარახველიძემ ჯეიმი შაფელბარგერს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს მიერ, საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

შეხვედრის დასასრულს, ალექსანდრე დარახველიძემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელს. ჯეიმი შაფელბარგერს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მხარეებს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო გაღრმავდება.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის 42 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში, სხვადასხვა ქვეყნის 42 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევეს. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, იძულების წესით იქნა ქვეყნიდან გაძევებული.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა თურქმენეთის, ერაყის, თურქეთის, ინდოეთის, ირანის, ნიგერიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, რუსეთის, იორდანიისა და პაკისტანის, ჯამში, 42 მოქალაქე.

გაძევებულთა შორის არიან პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ჩართულები იყვნენ სხვადასხვა სახის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მისი ერთ-ერთი კომპეტენციაა საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელება.

პოლიციამ ღამის კლუბებში დიდი ოდენობით თანხის დაუფლების თაღლითური სქემა გახსნა – დაკავებულია 15 პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დიდი ოდენობით თანხის დაუფლების თაღლითური სქემა გახსნეს, დაკავებულია 15 პირი.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ, თაღლითობისა და გამოძალვის ბრალდებით დაკავებულები არიან: 2001 წელს დაბადებული ნ.უ.; 1986 წელს დაბადებული გ.ფ.; 1988 წელს დაბადებული გ.ლ.; 1996 წელს დაბადებული ვ.გ.; 1990 წელს დაბადებული ბ.ღ.; 2002 წელს დაბადებული გ.ე.; 2001 წელს დაბადებული ე.მ.; 1978 წელს დაბადებული ა.ხ.; 2000 წელს დაბადებული ლ.კ.; 1989 წელს დაბადებული მ.მ.; 1992 წელს დაბადებული ო.ა. და წარსულში ნასამართლები პირები: 1990 წელს დაბადებული ბ.თ.; 1997 წელს დაბადებული ა.ნ.; 1974 წელს დაბადებული ი.გ. და 1999 წელს დაბადებული დ.ბ.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ თბილისში, რამდენიმე ღამის კლუბის მენეჯერებსა და მომსახურე პერსონალს შემუშავებული ჰქონდათ თაღლითობის გეგმა, გადანაწილებული ჰქონდათ როლები და მათ დაწესებულებაში შესულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მომსახურებასთან და შეკვეთილ პროდუქციასთან შეუსაბამო თანხებს სძალავდნენ.

იმ შემთხვევაში, თუ სტუმარი უარს აცხადებდა თანხის გადახდაზე, თანამშრომლები მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და მუქარას ახორციელებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ მოთხოვნილი თანხის მიღებას. ხოლო, თუ დაზარალებულები მაინც უარს აცხადებდნენ თაღლითურად დაკისრებული თანხის გადახდაზე, მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ. პოლიციამ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირები, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში დააკავა. სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონებია ამოღებული. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებით მიმდინარეობს.

სანიოლმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ეროვნული ნაკრები, ერთა ლიგის გათამაშებაში, 11 და 14 ოქტომბერს, ორ შეხვედრას გამართავს. უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, უკრაინის ნაკრებს 11 ოქტომბერს, პოლონეთის ქალაქ პოზნანში ვსტუმრობთ, სამი დღის შემდეგ კი თბილისში, „მიხეილ მესხზე“, ალბანეთს ვმასპინძლობთ. ეროვნული გუნდის თავკაცმა ვილი სანიოლმა, აღნიშნული შეხვედრებისთვის ჯვაროსნების შემადგენლობა დაასახელა. ნაკრებში მხოლოდ ერთი დებიუტანტია – ბოსნია/ჰერცოგოვინას ჩემპიონატის ბომბარდირი, კლუბ „სარაევოს“ შემტევი გიორგი გულიაშვილი. რაც შეეხება მთლიან შემადგენლობას, ის ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („ომონია“, კვიპროსი), ლუკა გუგეშაშვილი („პანსერაიკოსი“, საბერძნეთი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), გიორგი გველესიანი („პერსეპოლისი“, ირანი), სოლომონ კვირკველია („დინამო“, თბილისი), ლაშა დვალი („აპოელი“, კვიპროსი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი („კოპენჰაგენი“, დანია), ლევან შენგელია („ოფი“, საბერძნეთი), საბა გოგლიჩიძე („ემპოლი“, იტალია);

ნახევარმცველები: ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევანტე“, ესპანეთი), სანდრო ალთუნაშვილი („ვოლფსბერგერი“, ავსტრია), შოთა ნონიკაშვილი („ჩერკასი“, უკრაინა), გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), გიორგი წიტაიშვილი („გრანადა“, ესპანეთი), ზურიკო დავითაშვილი (სენტ ეტიენი“, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), გიორგი გულიაშვილი („სარაევო“, ბოსნია/ჰერცოგოვინა), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია), გიორგი მიქაუტაძე („ლიონი“, საფრანგეთი).

უკრაინასთან მატჩი, ჩვენი დროით, 22.45 საათზე დაიწყება, ალბანელებს კი თბილისში, 20.00 საათიდან ვუმასპინძლებთ.

„ნაპოლი“ და ხვიჩა ვერ თანხმდებიან

იმის მიუხედავად, რომ ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლის“ ლიდერი და მთლიანად, სერია A-ში გამორჩეული ფეხბურთელია, მისი ანაზღაურება ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. გულშემატკივრები, ჟურნალისტები, ექსპერტები ამბობენ, რომ ნომერ პირველ მოთამაშეს, ნომერ პირველი ხელფასი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ფაქტია, რომ მხარეები შეთანხმებას ვერ ახერხებენ. როგორც იტალიური მედია წერს, „ნაპოლი“ მზად არის, ფეხბურთელს 2027 წლამდე მოქმედი კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივოს და წელიწადში 1.5 მილიონის ნაცვლად, 6 მილიონი გადაუხადოს, თუმცა ქართული მხარე 8 მილიონს და გონივრულ გამოსასყიდ თანხას ითხოვს.

„მხარეებს შორის, მორიგი შეხვედრა 29 ოქტომბერს შედგება და დიდია იმის ალბათობა, რომ შეთანხმება შედგეს. სავარაუდოდ, მილიონს ერთი მხარე დააკლებს, მილიონს – მეორე მოუმატებს და ხვიჩას ხელფასი 7 მილიონი ევრო იქნება, რაც ასევე ბევრი არ არის“, – წერს იტალიური მედია.

ტალახაძემ კარიერა დაასრულა?

მას შემდეგ, რაც ლაშა ტალახაძემ პარიზის ოლიმპიადაზე ზედიზედ მესამე ოქროს მედალი მოიპოვა, მას მთავარი კითხვა დაუსვეს – გააგრძელებდა თუ არა ის სპორტულ კარიერას, რაზეც მაშინ ლაშამ პირდაპირ თქვა, რომ მეოთხე ოლიმპიადაზე იფიქრებდა და მეოთხე ოლიმპიური ოქროს მოგებას აპირებდა. მერე კი, ყველასთვის მოულოდნელად, ტალახაძე მმართველი პარტიის საპარლამენტო სიის ათეულში აღმოჩნდა და ლოგიკურიც იყო, რომ მას იგივე კითხვა დაუსვეს.

„ალბათ, წასვლის დრო იყო. ვარჯიშს არ ვწყვეტ იმიტომ, რომ ჯანმრთელობას არ უხდება. მსუბუქად გავაგრძელებ ცხოვრებას ჯანსაღი წესით, სპორტულად ვიცხოვრებ, მაგრამ ამ ეტაპზე, აქტიურ სპორტში გაჩერებას აღარ ვაპირებ. მოკლედ რომ ვთქვა, შევეშვი, ოღონდ, ჯერჯერობით. ახლა საქართველოს სხვა კუთხით ვჭირდები და შემდეგ ვნახოთ, რა იქნება. ყველა ვარჯიშზე ტრავმას ვიღებდი, მაჯა, წელი, მუხლი... ყველაფერი ჩათრეული იყო და შიშებიც გამიჩნდა“, – განაცხადა ტალახაძემ.

ის, რომ ლაშას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა აქვს, ნაკრების ექიმმა, გიორგი ჭინჭარაულმაც დაადასტურა. მისი თქმით, პარიზის ოლიმპიადამდე, ტალახაძეს არაერთი ინექცია გაუკეთეს, მაგრამ ტრავმები ძალიან სერიოზული იყო. თუნდაც იდაყვის ტრავმა, რომელიც შესაძლებლობას არ აძლევდა, შტანგის აწევის შემდეგ, ხელი ჩაეკეტა და ერთი ხელი იდაყვში მოხრილი რჩებოდა.

„მე გპირდებით, რომ ლაშა იქნება დარბაზში იმ კომპონენტით, რაშიც დღემდე იყო. პირობას გაძლევთ, რომ შეჯიბრზე წასაგებად არასოდეს წავიყვან. ეს არის ჩემი ამოცანა და მიზანი, ვინაიდან გაფრთხილება უნდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მის ავტორიტეტსა და მის ფენომენს“, – ეს განცხადება კი ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გიორგი ასანიძეს ეკუთვნის.

სხვათა შორის, მმართველი გუნდის სიაში მყოფმა მეორე ოლიმპიურმა ჩემპიონმა გენო პეტრიაშვილმაც განაცხადა, კარიერას არ ვასრულებო, მაგრამ რამდენად მოახერხებენ ისინი კანონშემოქმედებით საქმიანობასა და პარალელურად, ისეთ ვარჯიშს, რომელიც შედეგის მისაღწევად არის საჭირო, ძნელი სათქმელია.

დავითაშვილის ბენეფისი – ზურიკომ „ოსერს“ მარტომ მოუგო

სანაკრებო მატჩების წინ, ქართველი ლეგიონერების ასპარეზობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვინ როგორ ფორმაშია, სწორედ ამ შეხვედრებიდან უნდა გავიგოთ. ცოდვა გამხელილი სჯობს და ჩვენი ნაკრები მთლიანად ლეგიონერებზეა ჩამოკიდებული და ვილი სანიოლის რჩეულთა შორის, ეროვნული პირველობიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელია.

ზურიკო დავითაშვილით დავიწყოთ. მისმა „სენტ ეტიენმა“ საკუთარ მოედანზე „ოსერი“ მიიღო და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ქართველისთვის ფრანგულ კარიერაში საუკეთესო მატჩი იყო. „სენტ ეტიენმა“ 3:1 გაიმარჯვა და მასპინძელთა სამივე გოლი დავითაშვილის ანგარიშზეა. ამაას გარდა, მან ბურთი ერთხელ ძელსაც მოარტყა ანუ 4 გოლის გატანა შეეძლო. რა ძნელი მისახვედრია, რომ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ, სწორედ დავითაშვილი დაასახელეს და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გასულ 6 ტურში, „სენტ ეტიენს“ 3 გოლი ჰქონდა გატანილი, ზუკამ კი, ერთ მატჩში ამდენივე გაიტანა და თანაგუნდელთა შორის საუკეთესო ბომბარდირია. 3 გოლის გარდა, დავითაშვილს ორი საგოლე გადაცემაც აქვს ანუ მისი გუნდის მიერ გატანილი 6 გოლიდან, ხუთში მონაწილეობა აქვს მიღებული.

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“ საკუთარ მოედანზე „კომო“ დაამარცხა და ახლა, მთელი იტალია იმაზე მსჯელობს, რატომ არ დანიშნა მსაჯმა პენალტი სტუმართა კარში მაშინ, როცა კვარაზე წესების აშკარა დარღვევას ჰქონდა ადგილი. ხვიჩა ამ შეხვედრაში საუკეთესო ნამდვილად არ იყო, მაგრამ ყველაზე მეტი ხიფათი სწორედ მაშინ იქმნებოდა, როცა ბურთი მას ჰქონდა.

მესამე მშრალი შეხვედრა ჩაატარა „ვალენსიას“ რიგებში გიორგი მამარდაშვილმა. მისი გუნდი სტუმრად „ლეგანესს“ დაუზავდა და ამაზე საინტერესო რამ ინგლისში მოხდა – „ლივერპულის“ ძირითადმა კიპერმა ალისონმა ბარძაყის ტრავმა მიიღო ანუ ის ტრავმა, რომლის გამოც, გასულ სეზონში, ზედიზედ 15 შეხვედრის გამოტოვება მოუხდა. მოგეხსენებათ, მამარდა „ლივერპულის“ საკუთრებაა და „ვალენსიაში“ იჯარის წესით თამაშობს. ჰოდა, ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ მერსისაიდელები უკვე ზამთარში შეეცდებიან, გიორგი წაიყვანონ, რის შესაძლებლობასაც ესპანელები არ განიხილავენ, რადგან „ვალენსიას“ კარგი დროება ნამდვილად არ უდგას და მამარდაშვილის ახლა გაშვება მათთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება.

გიორგი გველესიანის „პერსეპოლისმა“ ქართველის გოლით იმარჯვა, თან რა გოლით – გიორგიმ მეტოქის კარი მსაჯის მიერ დამატებულ მეექვსე წუთზე აიღო და გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა. მოგეხსენებათ, გველესიანი ნაკრებშია გამოძახებული, მაგრამ ირანში არსებული სიტუაციის გამო, ფრენით ჩამოსვლას ვერ მოახერხებს და ავტომობილით მოუწევს მგზავრობა.

თავისი მატჩი მოიგო გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდმა“ და უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს გუნდი პრემიერლიგაში დაბრუნებისთვის იბრძოლებს. რამდენად გამოუვათ ეს ყველაფერი ჩაკვეს და მის თანაგუნდელებს, სხვა საკთხია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „უოტფორდი“ ლიდერთა მარაქაშია გარეული და იოლად არაფერს დათმობს.

რა ღირს საჩემპიონო ქამარი

მას შემდეგ, რაც UFC-ს ორ წონაში საჩემპიონო ქამრის მფლობელები ქართველები გახდნენ, ამ სპორტისა და ზოგადად, UFC-სთან დაკავშირებული ნებისმიერი თემის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა. მაგალითად, საინტერესოა, რა ღირს ქამარი, რომელსაც ჩემპიონს აძლევენ? მისი ფასი, დაახლოებით, 300 ათასი დოლარია და ყოველი მოგების შემდეგ იზრდება, რადგან ყოველი გამარჯვების შემდეგ, UFC-ს შეფები მას ერთ ძვირფას ქვას უმატებენ.

საჩემპიონო ქამრის შეძენა რიგით მოკვდავებსაც შეუძლიათ და მისი ფასი 300 დოლარია, მაგრამ თუ ქამარს ხელს მოქმედი ჩემპიონი მოაწერს, ღირებულება ათჯერ იმატებს და 3-დან 4 ათას დოლარამდე მერყეობს. ისე, ნამდვილი საჩემპიონო ქამრის შექმნაში, დაახლოებით, 900 გრამი უმაღლესი ხარისხის ოქრო იხარჯება, რაც ცოტა ნამდვილად არ არის.

ცნობისათვის, ექსპერტებმა ორივე ქართველი ჩემპიონის ქონება შეაფასეს და მათი მოსაზრებით, ილია თოფურიას ქონება მილიონ დოლარს აჭარბებს, მერაბ დვალიშვილის – 2 მილიონ დოლარს.

კარვახალმა სეზონი დაასრულა

ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ კაპიტანმა, დანი კარვახალმა სეზონი დაასრულა. მან უმძიმესი ტრავმა პრიმერადივიზიონის მეცხრე ტურში მიიღო და მოედნის დატოვება საკაცით მოუხდა.

„ჯვარედინი იოგები მაქვს დაზიანებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მოედანზე დასაბრუნებლად 8 თვე დამჭირდება. გამოდის, წლევანდელ სეზონში გუნდს მხოლოდ ტრიბუნებიდან თუ დავეხმარები. არ მეგონა, ჩემი წლევანდელი სეზონი, 9 ჩატარებული მატჩის შემდეგ თუ დასრულდებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია“, – განაცხადა კარვახალმა.

გუგული

გოდერძი ჩოხელი

„გიყვარდეს მტერი შენი“...

თუკი რამ კარგი და ლამაზი მახსოვს, ბავშვობიდან მახსოვს. გუგულიც იქიდან მახსოვს, იქიდან გამომძახის.

– გუგუ!

– გუგუ!

და თითქოს იყო და არა იყო რა. ბავშვობაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ლამაზი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. გორის იქეთიდან მხოლოდ ყურის წვერი ამოეყო მთვარეს და ეგრე ჩუმად, ფეხაკრებით შემოდიოდა ხეობაში. იყო ლამაზი გათენება. ჯერ ამოსულიც კი არ იყო მზე, რომ იმისი სხივები ძილს აღარ მანებებდნენ. „დილით ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა“, ჩამჩურჩულებდა დედაჩემი ყურში და „აბა, მზეს თუ დაასწრებ ადგომასო“, წამოვხტებოდი და მზეს ვეჯიბრებოდი.

იყო ყვითელი შემოდგომა და შემოდგომაზე ფრინველების წასვლით დარჩენილი სევდა. ჯერ მერცხლებს გამოვიგლოვებდით მე და ჩემი თანატოლები, მერცხლებს მიჰყვებოდნენ ტოროლები, გულყვითელები, ბოლო-ცეცხლები, გუთნის ჩიტები და სხვანი და სხვანი მიფრინავდნენ გუნდ-გუნდად, თავის ბარტყებთან ერთად, იმ ბარტყებთან, ჩვენ რომ თითქმის ყველას ვიცნობდით, თითქმის ჩვენს ხელში დაიზარდნენ, მიფრინავდნენ და მაშინ ჩვენთვის აუხსნელ სევდას გვიტოვებდნენ. ტყეებში მარტო ჩხიკვები და შაშვები რჩებოდნენ. სოფლის ახლომახლო ყვავი დაყრანტალებდა და ამით ამცნობდა დანარჩენ ყვავებს, რომ ხის კენწეროზე შემორჩენილი მწიფე მსხალი იპოვა და ამიტომ მაგარი, ყოჩაღი ყვავია. დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა. კვირაში ერთხელ არწივი ჩამოიფრენდა ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა, შეამოწმებდა, ფრთოსნებიდან რომელიმე ხომ არ დარჩა თბილ ქვეყანაში წამსვლელიო და რომ დარწმუნდებოდა, ისევ ჭიუხებისკენ წავიდოდა ყეფით.

ერთი-ორჯერ თუ შეატყლაშუნებდა ფრთებს, მეტად არა. დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიიწევდა. ცასა და მიწას ერთი ფერი დაედებოდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ფერი გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით თეთრი. და ამის მერე იყო ზამთარი. თოვლის ფიფქები მოდიოდნენ. ზეცის ყვავილობა გეგონებოდა. ყველაფერი თოვლის საბურველში გაეხვეოდა და არაფერი არ უხდებოდა ბავშვობას ისე, როგორც ზამთარი. ციგაობა, თოვლის კაცების აშენება, გრძელი ზღაპრებით სავსე ღამეები და... ყოველთვის, ეს რომ მოგვწყინდებოდა, სწორედ მაშინ მოვიდოდა გაზაფხული. შეეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად, ზვავებად და გარბოდა, მიწაში იმალებოდა. ზეციდან მოსული იყო, მაგრამ მიწაში იმალებოდა. მიწიდან კი გაზაფხული ამოდიოდა – ენძელებად, იებად, ყოჩივარდებად, თეთრად აფეთქებულ ტყემლებად, კლდის ფხაზე ამოშვერილ პირიმზედ, ჩრდილში მოსულ გვირილად და ისევ და ისევ ბავშვების ჟრიამულად. და ისევ, თითქოს იყო და არა იყო რა, იყო ლამაზი გაზაფხული, ნაირ-ნაირი პეპლებით სავსე.

დავდევდით პეპლებს და როგორმე რომ დაგვეჭირა, ვატყუებდით: „დაჯე, დაჯე, პეპელაო, თორემ დედა მოგიკვდება“. პეპლებს, რა თქმა უნდა, დედის სიკვდილის ეშინოდათ და სხდებოდნენ. გაიხსნებოდა გზები, დაიწყებოდა მგზავრების მიმოსვლა. გაზაფხულობით ჩამოივლიდა ხოლმე მღვდელი, შეკრებდნენ ერთ სახლში იმ წელს დაბადებულ ბალღებს. იყო ერთი სიცილ-კისკისი და ბალღების ჩხავილი. მერე მღვდელი წიგნს გადაშლიდა და კითხულობდა. ბევრს ვერაფერს ვგებულობდით, მაგრამ ერთი რამ ძალიან გვაკვირვებდა – „გიყვარდეს მტერი შენი“...

რატომ?

რატომ უნდა გვყვარებოდა მტერი?!

ვერა, ვერ ვგებულობდით.

ხეობა კი თანდათან ივსებოდა გუთნის ჩიტებით, კოდალებით და ბოლო-ცეცხლებით. ხეობა სავსე იყო ფრინველთა გალობით და ერთ დღესაც ამ გალობაში გაისმებოდა:

– გუგუ!

– გუგუ!

ეს ხმა ყველაზე მეტად გაგვახარებდა. რატომღაც გვეგონა, რომ გუგულს მოჰყავდა გაზაფხული.

– გუგულო, რამდენი წლისა ვარ? – გავძახებდით გუგულს და ისიც, რა თქმა უნდა, იმდენჯერ დაიძახებდა „გუგუს“, რამდენი წლისაც ვიყავით. მერე დედები გუდებს მოგვკიდებდნენ და გაგვაგზავნიდნენ წიფლიან ტყეში. ჩვენ მთელი დღე ჩასაფრებული ვყავდით გუგულს, რომ თუ რომელიმე ხეზე შემოჯდებოდა, იმ ხისთვის სამჯერ უნდა შემოგვერბინა ძახილით:

– გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე!

– გუგულო, ღალა მოგპარე!

თუ ამას მოვახერხებდით, გვჯეროდა, რომ იმ წელს ბარაქიანი მოსავალი გვექნებოდა. გუგულებს კი, თითქოს ეს არ უნდოდათ, მაშინვე გაფრინდებოდნენ იმ ხიდან, რომელსაც გარშემო ვურბენდით. ახლა სხვა ხეზე შემოჯდებოდნენ და ჩვენც იმ ხეს მივეპარებოდით. ამასობაში შევამჩნიეთ, რომ გუგულს ყოველ დღე სამი ნიბლია ჩიტი დასდევდა თან.

ჭრელფრთიანები იყვნენ, პატარა, წვრილი ნისკარტები ჰქონდათ. თავზე ისეთი ბუმბულით იყვნენ შემოსილი, თითქოს გუგულის დიასახლისები იყვნენ და თავზე კოპლებიანი თავსახურავები ეხურათ. მერე ისიც შევამჩნიეთ, რომ დილით სამი ასეთი ჩიტი დაჰყვებოდა გუგულს, შუადღისას – ორი, საღამოს კი – ერთი. გაფრინდებოდა გუგული და ისინიც უკან გაჰყვებოდნენ. მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს პატარა ჩიტები გუგულის დიასახლისები იყვნენ და ერთხელ გუგულის დევნით დაღლილ-დაქანცულმა, მღვდელს ვკითხე:

– გუგულს თუკი ჰყავს დიასახლისები, რატომ სხვა ფრინველებს არა ჰყავთ?

– რა დიასახლისები?! – გაუკვირდა მღვდელს.

– აი, სამი პატარა ჩიტი რომ დაჰყვება თან.

– ეგენი დიასახლისები კი არა, გუგულს ყოველდღე სამი ეგეთი ჩიტი უბოძა საზრდოდ ღმერთმა.

ერთს დილით სჭამს, მეორეს – შუადღისას და მესამეს – საღამოს. ერთ ჩიტს მარტი ჰქვია, მეორეს – აპრილი, მესამეს – მაისი, მითხრა მღვდელმა.

იმ დღის მერე, გადავემტერეთ გუგულს. მთელი სოფლის ბალღები ისე აგვაფორიაქა გუგულის საქციელმა, რომ ერთ დღეს „შევიარაღდით“ და გუგულის მოსაკლავად წავედით.

გუგული მუხაზე იჯდა და ხეობას გასძახოდა. მოვმართეთ შურდულები და დავუშინეთ ქვები. გუგული გაფრინდა და ჩიტებიც თან გაჰყვნენ. ორნიღა იყვნენ, ეტყობა, ერთი უკვე შეჭამა.

გამოვედევნეთ უკან და აღარ მივეცით მოსვენება. შუადღემდე მუხლი არ ჩაგვიხრია. ცოტა ხნით სადღაც დაგვეკარგა და ხელახლა რომ ვიპოვეთ, ერთი ჩიტიღა დასდევდა თან. როგორც იქნა, მოხვდა ქვა. წიფლიდან ჩამოვარდა, პატარა ჩიტიც თან ჩამოჰყვა, მერე ისევ გაგვიფრინდა. ეტყობა, ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ნიბლია ჩიტიც თან მიჰყვებოდა. გუგული ღვიის ბუჩქებში ჩაეშვა და კარგა ხანს ვეღარ ვიპოვეთ, როცა მივაგენით, სანახაობამ ერთად შეგვაყენა და ნაბიჯი ვეღარ წავდგით – ღვიის ძირში გუგული ეგდო და სულს ღაფავდა.

მოტეხილ ჭროღა ფრთაზე წითლად ჰქონდა სისხლი შემხმარი. იქვე, ღვიის ტოტზე მობუზული იჯდა ნიბლია ჩიტი და თავის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან. ჩვენს დანახვაზე არც კი ცდილა, რომ გაფრენილიყო. ამ სანახაობამ ისე დაგვწყვიტა გული, რომ იქვე პატარა საფლავი გავთხარეთ და ჩვენ, ბავშვებმა, პირველად, ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, გუგული დავმარხეთ.

ნიბლია ჩიტი კარგა ხანს იჯდა თვალცრემლიანი ღვიის ტოტზე, მერე კი, თითქოს რაღაც გაახსენდა, უცებ დაიწრიპინა, თავსაფრიანი თავი ჰაერში გააქნია, სუსტი ფრთები გაშალა და საღამოს ბინდბუნდს შეერია.

ახლა, რამდენჯერაც გაზაფხული მოვა, ყოველთვის ის გუგული მახსენდება და მაშინ ნანახზე რატომღაც ახლა ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ ტიროდა ეს პატარა ნიბლია ჩიტი. მაისი კი იქ, ჩემს ბავშვობაშიც, წვიმიანი იცოდა.

პიკასოს ნახატი სარდაფში იპოვეს

იტალიელმა მეძველმანმა ლუიჯი ლო როსომ, ჯერ კიდევ შორეულ 1962 წელს, კუნძულ კაპრიზე, სახლის სარდაფში ნახატი იპოვა და ის თავისთან, პომპეიში წაიღო. იქ იაფიან ჩარჩოში ჩასვა და მისაღების კედელზე ჩამოკიდა, სადაც ათეულობით წლების მანძილზე ეკიდა კიდეც. ტილოზე ფრანგი მხატვრის, დორა მაარის პორტრეტია გამოსახული, რომელიც დიდი მხატვრის საყვარელი და მისი მუზა იყო. ნახატის მარცხენა ზედა კუთხეში, პიკასოსთვის დამახასიათებელი ხელწერაც არის, თუმცა როსომ არ იცოდა, ვისი ნახატი იპოვა. მხოლოდ წლების შემდეგ, მისი შვილი ანდრეა დაინტერესდა ტილოთი და დახმარებისთვის სპეციალისტს მიმართა.

„მამაჩემი ათასგვარ ძველმანს აგროვებდა, მერე იაფად რომ გაეყიდა. ნახატი ჩემს დაბადებამდე იპოვა და მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო პიკასო, არ იყო განათლებული ადამიანი“, – ამბობს ანდრეა. რამდენიმეწლიანი კვლევების შემდეგ, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ტილოზე, რომელიც დღეს უკვე 6 მილიონ დოლარად არის შეფასებული, ხელმოწერა ნამდვილად პიკასოს ეკუთვნის.

მწარე საკვები განწყობას ამაღლებს

გასტროენტეროლოგებმა გაარკვიეს, რომ მწარე საკვების მირთმევა ადამიანს განწყობას უმაღლებს. როგორც კვლევებით აღმოჩნდა, ჩვენი ტვინი „კითხულობს“ წვას, როგორც ზიანს ორგანიზმისთვის. რეაქცია კი ასეთია – ენდორფინების დაუყოვნებლივი გაგზავნა სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ადამიანები მწარე საკვებზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ: ზოგს ეს სიამოვნებას ანიჭებს, როცა წვის შეგრძნება იწყება, ზოგს კი – როცა ეს შეგრძნება მთავრდება. სხვათა შორის, არ არის საჭირო ზედმეტად გაერთოთ მწარე საკვებიდან მიღებული „სასიამოვნო“ წამებით, რადგან ასეთი სიამოვნების მიღებისას, შესაძლოა, მთელი ლორწოვანი გარსი დაიზიანოთ.

ჩინელებმა დიაბეტი სრულად დაამარცხეს

ჩინელმა სწავლულებმა პირველი ტიპის დიაბეტი სრულად დაამარცხეს. 25 წლის პაციენტს, რომელსაც დაავადება 11 წელი აწუხებდა, მკურნალობიდან რამდენიმე თვეში, ინსულინის ინექციები აღარ სჭირდება. ამისთვის მან ღვიძლის ორი ტრანსპლანტაცია ჩაიტარა კრიპტოგენური ციროზის და ასევე – მთელი კუჭქვეშა ჯირკვლის ტრანსპლანტაცია, სისხლში გლუკოზის დონის არასტაბილური კონტროლის გამო. მედიკოსებმა ღეროვანი უჯრედები გამოიყენეს, რომლებიც პაციენტისვე ცხიმოვანი უჯრედებიდან აიღეს. შემდეგ მათ შექმნეს ტრანსპლანტატი უჯრედებით, რომელსაც ინსულინის გამომუშავება შეეძლო. ტრანსპლანტაციიდან 75 დღის შემდეგ, პაციენტმა ინსულინზე დამოკიდებულებას თავი დააღწია, სისხლში გლუკოზის დონე კი დარეგულირდა. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება მათი შემუშავებული მეთოდი ფართოდ გამოიყენონ, თუმცა დამატებითი კვლევის ჩატარება იქნება შესაძლებელი მისი ეფექტურობისა და უსაფრთხოების შესასწავლად.

სილამაზის კონკურსში პენსიონერი მონაწილეობს

სამხრეთ კორეაში, 81 წლის ქალბატონი, ჩოი სუნ ჰვა სილამაზის კონკურსის უხუცესი მონაწილეა. ის სეულში გამართული „მის სამხრეთ კორეას“ ფინალში, მასზე გაცილებით ახალგაზრდა მოდელებს შეეჯიბრა. მოხუცმა ტიტული ვერ მოიგო, თუმცა „ყველაზე კარგად ჩაცმული კონკურსანტის“ ნომინაციაში გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ჩოი, წლების განმავლობაში, საავადმყოფოში მუშაობდა, მოდელობა კი 72 წლისამ დაიწყო. „ამ ასაკში გამოვიჩინე გამბედაობა და გამოწვევაზე უარი არ ვთქვი. მინდა, ხალხმა ჩემს მაგალითზე გაიაზროს, რომ შესაძლებელია ჯანსაღად იცხოვრო და სიამოვნება მიიღო მაშინ, როცა პოულობ იმას, რისი კეთებაც გინდა და საკუთარ თავს, შენივე ოცნებების ასასრულებლად, ბრძოლაში იწვევ“, – ამბობს მოდელი. „მის სამხრეთ კორეა“ 22 წლის ჰან არიელი გახდა, რომელიც ნოემბერში, თავის ქვეყანას „მის სამყაროზე“ წარადგენს.

საბავშვო ბაღი ზრდასრულებისთვის

ნისლიან ალბიონზე, ედინბურგში, საბავშვო ბაღი – Big Kid Kindergarten გახსნეს (დიდი ბავშვების საბავშვო ბაღი), სადაც 16 წელს გადაცილებულ ადამიანებს ბავშვობაში დაბრუნების შესაძლებლობა ეძლევათ. ბაღის სტუმრებს, სულ რაღაც 10 გირვანქა სტერლინგად, ბაღში შეუძლიათ, მთელი დღე ითამაშონ – ააწყონ კონსტრუქტორები, მოუსმინონ ზღაპრებს და ქვიშაში გაერთონ. მსურველებისთვის ბაღის გაკვეთილებზე ონლაინ-დასწრებაც არის შესაძლებელი. პროექტის ორგანიზატორი და აღმზრდელი ქალბატონი სოლეია, რომელიც შვიდი წელია, სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობს. მისი თქმით, ბავშვებისთვის ბევრი წრე და საზაფხულო ბანაკებია, უფროსები კი ამ ყველაფერს მოკლებულნი არიან და ეს ბაღიც ამ ვითარების გამოსასწორებლად გაიხსნა. დიდების საბავშვო ბაღი, შოტლანდიის დედაქალაქში, აგვისტოში მუშაობდა, სექტემბერში პროექტმა ავსტრიაში, ვენაში გადაინაცვლა, ოქტომბერსა და ნოემბერში ბაღში წასვლა ესპანელ ზრდასრულებსაც შეეძლებათ, მომავალი წლიდან კი მათ ამერიკელებიც შეუერთდებიან.

მზის ენერგიიდან საწვავს მიიღებენ

შვეიცარიულმა კომპანიამ მსოფლიოში პირველი სამრეწველო საწარმოს აშენების შესახებ განაცხადა, რომელიც მზის ენერგიიდან სინთეზ-გაზს მიიღებს. ამის შემდეგ კი, მას ნავთად ან ბენზინად უპრობლემოდ გადაამუშავებენ. სადგური DAWN ენერგიას ჰელიოსტატების მეშვეობით მიიღებს და მას სინთეზ-გაზად გარდაქმნის. ჯერჯერობით, საწარმოს სიმძლავრე მცირეა – სულ 150 ტონა საწვავი წელიწადში. 2030 წლისთვის, შვეიცარიელები ასეთი ქარხანა-სადგურების ქსელის აშენებას გეგმავენ. ამ შემთხვევაში, წელიწადში 875 ათასი ტონა საწვავის მიღებას შეძლებენ.

ნაომი ქველმოქმედებას ჩამოაშორეს

პოპულარულ სუპერმოდელს, ნაომი კემპბელს საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა აეკრძალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გამოძიებამ დაადგინა, რომ „შავი პანტერას“ მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ორგანიზაციაში ფინანსური გადაცდომები იყო. გაირკვა, რომ თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა, მათ შორის, ძვირადღირებულ სასტუმროების ნომრებზე, ფრენებზე, ნაომის პირად დაცვაზე და სხვა. გარდა ამისა, გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზაცია მიღებული მილიონობით გირვანქა სტერლინგიდან რეალური მიზნებისთვის ძალიან ცოტას ხარჯავდა. „მე ახლა შევიტყვე ამ ყველაფრის შესახებ და ძალიან შეშფოთებული ვარ“, – განაცხადა კემპბელმა. აღსანიშნავია, რომ მოდელს საქველმოქმედო საქმიანობაში მონაწილეობა ხუთი წლის ვადით აეკრძალა. ეს შეზღუდვა ეხება მასთან დაკავშირებულ ორ პირსაც – ბიანკა ჰელმიჩსა და ვერონიკა ჩოუს.

ნანოდრონები სიმსივნის წინააღმდეგ



სამხრეთ კორეელმა სწავლულებმა, ულსანის ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან, ნანოდრონები შექმნეს, რომელთაც შეუძლიათ, შერჩევით გაანადგურონ კიბოს უჯრედები. ნანოდრონები, სახელწოდებით – NKEND ზემოქმედებენ NK-უჯრედებზე, რომლებსაც ასევე უწოდებენ ბუნებრივ მკვლელ უჯრედებს. ეს ლიმფოციტების ჯგუფის იმუნური უჯრედებია, რომლებიც წმენდენ ორგანიზმს სიმსივნური უჯრედებისგან. კვლევებისას, ნანოდრონებმა საკვერცხის კიბოს უჯრედებთან შერჩევითად შეკავშირების უნარი გამოავლინეს. ადამიანის NK-უჯრედების ფიზიკური ურთიერთქმედება კიბოს სამიზნე უჯრედებთან, ნანოდრონების შუამავლობით, ააქტიურებს NK-ს, რაც მათ საშუალებას აძლევს, ეფექტურად შეებრძოლოს სიმსივნეს. შედეგად, კიბოს ზრდა მნიშვნელოვნად ითრგუნება, გვერდითი ეფექტებიც უმნიშვნელოდ არის გამოხატული. კვლევის ავტორების განცხადებით, ეს შედეგები ახალ შესაძლებლობებს ხსნის იმუნოთერაპიულ მკურნალობაში.

ჯაშუშური საცვალი შექმნეს

აშშ-ის სპეცსამსახურებმა 22 მილიონი დოლარი დახარჯეს ჯაშუშური ტრუსის შექმნაზე. გარშემო მიმდინარე პროცესები ახალმა ტრუსმა ხელების დახმარების გარეშე უნდა დააფიქსიროს. ჯაშუშური ტრუსის ამოცანაა, ჩაიწეროს აუდიო და ვიდეო, ასევე გადასცეს გეოლოკაცია, – აცხადებს ამერიკის დაზვერვის სფეროში მოწინავე კვლევების სააგენტო. გარდა ტრუსისა, იგეგმება პერანგების, შარვლების, წინდებისა და სხვა თეთრეულის შექმნაც, რა თქმა უნდა, ანალოგიური ფუნქციებით.

ხილის ხშირი მიღება კიბოს აგვარიდებს

სწავლულებმა დიდი ბრიტანეთიდან, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე გამოკვლევა ჩაატარეს, დასკვნები დადეს, რომლის მიხედვითაც ხილის ხშირი მიღება ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის. მკვლევარების განცხადებით, თუ ყოველდღიურად ადამიანი შვიდი, სხვადასხვა სახეობის ხილს მიირთმევს, ეს საგრძნობლად ამცირებს ონკოლოგიური და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები, დაახლოებით, 12 წელიწადს გრძელდებოდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, დეტალურად იქნა შესწავლილი კვლევაში მონაწილე ადამიანების საკვების მოხმარების ჩვევები, რომლებიც იმ მომენტისთვის შესანიშნავ ფიზიკურ მდგომარეობაში იყვნენ. სწავლულების თქმით, 30-დან 65 წლის ასაკში, ყოველდღიურად ხილის მცირე რაოდენობის მიღებაც კი არსებითად ამაღლებს ცხოვრების დონეს. მათი განცხადებით, მოწიფულ ასაკში მყოფებმა თავი უფრო უკეთესად რომ იგრძნონ, საკმარისია, ყოველდღიურ რაციონში გემრიელი ხილი დაამატონ, მაგალითად, ბანანი და ვაშლი, რომელიც რკინას, თუთიასა და სპილენძს შეიცავს. სწორედ ეს კომპონენტები აისახება სასიკეთოდ გულისა და სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოებზე.

„ჭკვიანი“ რესპირატორი შექმნეს

ჯეიმს დაისონის ყოველწლიური პრესტიჟული პრემია, რომელსაც მედიცინის სფეროში მიღწევებისთვის გადასცემენ, „ჭკვიანმა“ რესპირატორმა დაიმსახურა, დიდი ბრიტანეთიდან. ეს პატარა მოწყობილობა ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობს. სწავლულთა ჩანაფიქრით, აპარატი სუნთქვის ორგანოებში ზედმეტი ლორწოს დაგროვებას ითვლის. მიიღებს რა, მონაცემებს, მოწყობილობა, ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით, სასუნთქი გზების გაწმენდას იწყებს. ლონდონის საიმპერატორო კოლეჯის მეცნიერები აცხადებენ, რომ მათი „ჭკვიანი“ რესპირატორი მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ფიზიოთერაპევტების შრომას. ნისლიან ალბიონზე, სამედიცინო სიახლის სერიულ წარმოებას მომავალი წლიდან გეგმავენ.

პროდუქტები ნერვების დასაწყნარებლად

ნერვული სისტემის პრობლემები მთელ ორგანიზმს ვნებს. ყველასთვის ცნობილია გამოთქმა, რომ ნებისმიერი დაავადება ნერვების ბრალია. ნერვული აშლილობები, დეპრესიები, ნევროზები მთლიან ორგანიზმს ასუსტებენ, რაც მთელ რიგ დაავადებებს „უხსნის კარს“. მედიკოსებმა ნერვების განსამტკიცებელი ხუთი ძირითადი პროდუქტი დაასახელეს.

1. პროდუქტები, რომელიც ნერვებისთვის შეუცვლელ ვიტამინ „ბე-1“-ს შეიცავენ: წიწიბურასა და შვრიის ფაფები, ღორის ხორცი, ჭვავის პური.

2. ხშირად, ნერვულ სისტემას გონებრივი სამუშაოთი გადავტვირთავთ ხოლმე, რომლის დროსაც აუცილებელია ვიტამინი „ბე-2“. ამ დროს, დახმარების ხელს „გამოგვიწვდიან“ პარკოსნები: ისპანახი, ლუდის საფუარი, გარგარი, კვერცხი. ამ პროდუქტების გარშე, უარესდება განწყობა, იწყება თავის ტკივილი, სისუსტე.

3. თანამედროვე ცხოვრება სტრესის წყაროა. ემოციური დატვირთვებისას, ირღვევა ტვინის ინტელექტუალური მუშაობა, ზიანდება მეხსიერება, თავს იჩენს ხასიათის მკვეთრი ცვლილებები. ამის თავიდან ასაცილებლად, მიიღეთ ვიტამინ „ბე12“-ით გაჯერებული პროდუქტები: ზღვის პროდუქტები, გულ-ღვიძლი, კვერცხის ცილა. თუ თავს იზღუდავთ მათი მირთმევით, საკუთარ თავს ალცჰაიმერის სინდრომით დაავადების რისკს უზრდით.

4. რძე და რძის პროდუქტები, მათ შორის, რძემჟავა პროდუქტები, რადგან კალციუმის გარეშე, მაგარი ნერვები ვერ გექნებათ. ამ მინერალის უკმარისობა იწვევს მუდმივ შფოთიანობასა და გაღიზიანებას.

5. ტვინის მუშაობისა და ჰორმონალური ბალანსისთვის აუცილებელია იოდი. ყველა ზღვის პროდუქტი, ზღვის კომბოსტო და ზღვის ნებისმიერი თევზი იოდის წყაროა. თუ არ გიყვართ, მაგალითად, ზღვის კომბოსტო, პრობლემა არ არის, იყიდეთ ის გამომშრალი, დაფქვით და საჭმელში საკმაზივით დაამატეთ.

ალკოჰოლის დონეს ყურსასმენი გაზომავს



ტოკიოს სამედიცინო სკოლის სწავლულებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც სისხლში ალკოჰოლის დონეს ზომავს. ის გადაკეთებული, ჩვეულებრივი ყურსასმენია, რომელიც ყურის კანიდან გამოსულ აირს ზომავს. თუ მოწყობილობა აღმოაჩენს ასეთ აირებს, ინთება ინდიკატორი – მისი სიმკვეთრე სპირტის კონცენტრაციაზეა დამოკიდებული. პროექტის ავტორებმა ყურსასმენი მოხალისეებზე გამოსცადეს, რომელთაც ალკოჰოლური სასმელი ექსპერიმენტის დაწყებამდე 140 წუთით ადრე მიიღეს. სპირტის კონცენტრაციამ ყოველ მოხალისეზე 0.4 გრამი შეადგინა.

სასმელი ნაადრევ სიკვდილს აგვარიდებს?

ამერიკელმა სწავლულებმა, ტეხასის უნივერსიტეტიდან, დაასკვნეს, რომ მცირე დოზით სასმელის მიღება ადამიანს თავიდან აცილებს ნაადრევი სიკვდილის რისკს. დიახ, არ გეჩვენებათ – მკვლევარები ამბობენ, რომ თუ ალკოჰოლს საერთოდ არ იღებთ, იზრდება ნაადრევი სიკვდილის რისკი. კვლევების ასეთი შედეგი მათთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. ექსპერიმენტში 1824 მოხალისე იყო ჩართული. ვინც საერთოდ არ სვამდა ალკოჰოლურ სასმელს, მათში სიკვდილიანობის რისკი 60%-ით იზრდებოდა. ყველაზე დაბალი რისკის ქვეშ კი ისინი აღმოჩნდნენ, რომლებიც ყოველდღიურად, 3 ჭიქა ალკოჰოლს მოიხმარდნენ. სწავლულები ამგვარ შედეგს ასე ხსნიან: ადამიანები სასმელს, როგორც წესი, მარტო არ მიირთმევენ, მას მეგობრების, ახლობლების, თანამშრომლების გარემოცვაში სვამენ. დალევა ამყარებს კავშირებს ადამიანებს შორის, აუმჯობესებს განწყობას, ავიწყებს პრობლემებს. ეს ყველაფერი კი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას განაპირობებს. ვინც საერთოდ არ სვამს, როგორც წესი, დეპრესიულები და ნაკლებად კომუნიკაბელურები არიან, რაც მათ ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეზეც უარყოფითად მოქმედებს. ასე რომ, შეგიძლიათ თამამად მიირთვათ საყვარელი სასმელი, თუმცა კვლევის შედეგის მიუხედავად, მაინც გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების დაცვა აუცილებელია!

წინდები დემენციით დაავადებულთათვის

მკვლევარებმა დიდი ბრიტანეთიდან, დემენციით დაავადებული ადამიანებისთვის „ჭკვიანი“ წინდები შექმნეს. ისინი აანალიზებენ მფლობელის მდგომარეობას და რეალურ დროში გადასცემენ ინფორმაციას ავადმყოფის ახლობლებსა და მეურვეებს. ექიმები აღნიშნავენ, რომ ამ დაავადების მქონე ადამიანები ხშირად შფოთავენ და აგრესიულები ხდებიან, ამიტომ რთულია მათი ფსიქოლოგიური კომფორტის ობიექტურად შეფასება. სწორედ ამ ამოცანის შესასრულებლად შექმნეს სპეციალისტებმა მათი ჯანმრთელობის მონიტორინგის უწყვეტი სისტემა. წინდები აფიქსირებს პულსის სიხშირეს, ოფლის გამოყოფის დონეს, მოძრაობის აქტიურობას. აღსანიშნავია, რომ სისტემა ჩამონტაჟებულია ჩვეულებრივ წინდებში, რადგან ის არ უქნის დისკომფორტსა და დამატებით სტრესს პაციენტს, რაც ხშირია ხოლმე სპეციალური სამაჯურის ტარებისას.

კრევეტების დახოცვისთვის დააჯარიმეს

აშშ-ში, ჰავაის შტატში, ადგილობრივი მცხოვრები მამაკაცი 633.4 ათასი დოლარით დააჯარიმეს კრევეტების განადგურებისთვის. შტატის მიწისა და ბუნებრივი რესურსების საბჭომ უზარმაზარი ჯარიმა გამოუწერა უეინ სპატცს – მან წყალსატევში ჭიანჭველების შხამი გაუშვა, რითაც 6.25 ათასი კრევეტი დახოცა. სპატცის დანაშაული მაშინ გამოაშკარავდა, როცა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დეპარტამენტში იჩივლა. თვითმხილველმა განაცხადა, რომ დაინახა, როგორ ჩაუშვა მამაკაცმა წყალში თხევადი შხამი და ზედაპირზე ათასობით მკვდარი კრევეტი ამოტივტივდა. რამდენიმეთვიანი გამოძიების შემდეგ, დამნაშავე დაადგინეს და ყოველი მოკლული ცხოველისთვის, სპატცს 100 დოლარის გადახდა დააკისრეს. ჯარიმის თანხაში შედის მომწამლავი ნივთიერების უკანონო გამოყენება – 8.64 ათასი დოლარი და სასამართლო ხარჯებიც. დღეისთვის, ეს ყველაზე დიდი ჯარიმაა შტატში, რაც გარემოსთვის ზიანის მიყენების გამო გამოუწერიათ.

სოკო დემენციას აგაცილებთ

ჩინელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ სოკოს შეუძლია ალცჰაიმერის დაავადების განვითარებისა და მისი პროგრესირების შეფერხება. მათი თქმით, ამ ეფექტზე პასუხისმგებელია სოკოს ბიოაქტიური ნაერთები, განსაკუთრებით კი ნეიროპროტექტორული მცირე მოლეკულები. მკვლევარების აზრით, ეს აღმოჩენა იძლევა საშუალებას, რომ სოკო ხანდაზმულთა დემენციის თავიდან არიდების ერთ-ერთ გზად განვიხილოთ. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ კვების ჩვევების შეცვლამ, შეიძლება, შეაფერხოს ალცჰაიმერის დაავადების განვითარება, თუმცა ჯერ შეფასებული არ არის სოკოს გავლენა ტვინის ჯანმრთელობაზე. სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ სოკოს აქვს სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული თვისებები. მისი ხშირი მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს დემენციის განვითარების რისკს. კვირაში მხოლოდ 300 გრამი სოკო საკმარისია, რომ მსუბუქი კოგნიტური დაქვეითების რისკი 50%-ით შემცირდეს.

ტვინის ქსოვილების პირველი ბანკი შექმნეს

ესპანელმა მკვლევარებმა მსოფლიოში პირველი, ადამიანის ტვინის ცოცხალი ქსოვილების ბიობანკი შექმნეს. მათზე შესაძლებელი იქნება კვლევების ჩატარება და ახალი პრეპარატების ტესტირება. სპეციალისტები ბიომასალას თავის ტვინის სიმსივნის მქონე პაციენტებისგან აგროვებენ. როდესაც ისინი, ონკოლოგიურ კლინიკებში, საოპერაციო მაგიდაზე ხვდებიან, მათ შეუძლიათ, ქსოვილის უმცირესი ნაწილი ბიობანკისთვის გაიღონ. ჩვეულებრივ, კვლევებისთვის ტვინის ქსოვილების აუცილებელი რაოდენობის მოძიება დიდ დროს მოითხოვს. ახლა მეცნიერებს შეეძლებათ, მნიშვნელოვნად სწრაფად მოიძიონ მკურნალობის ახალი მეთოდები.

თმის ცვენის მიზეზს მიაგნეს

იაპონელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აღმოაჩინეს მიზეზი, რის გამოც ადამიანებს, ასაკის მატებასთან ერთად, თავზე თმის რაოდენობა უმცირდებათ. კოსმეტიკური კომპანია „კაო კორპორეიშენის“ სპეციალისტებმა თმის დაბერების გენი გამოყვეს. მისი აქტიურობის ხარისხი უკუდამოკიდებულია განვლილ წლებზე. იაპონელი სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს, ეფექტურად შეებრძოლონ თმის ცვენის პრობლემას, შედეგად კი ადამიანი მოხუცებულობამდე ხშირ და ხარისხიან თმას შეინარჩუნებს. ცნობილია ასევე, რომ ეს გენი სისხლძარღვების წარმოქმნის მექანიზმში მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, „კაოს“ სპეციალისტები ასკვნიან, რომ სისხლის ცირკულირების სტიმულირებისას, გენი თმის ძირებს ეხმარება იმ ნივთიერებების მიღებაში, რაც აუცილებელია მათი ზრდისა და სიმაგრისთვის.

დამბლის დამარცხების გზას მიაგნეს

ავსტრალიის სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სწავლულებმა, მოზრდილი ადამიანების ძვლისა და ცხიმოვანი ქსოვილებისგან ღეროვანი უჯრედების მიღება ისწავლეს, რომელთაც ნებისმიერი ქსოვილის რეგენერაცია შეუძლიათ, მათ შორის, გატეხილი ხერხემალისაც. როგორც მეცნიერები აცხადებენ, ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა, მიიღონ ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები, ან პროგენიტორული უჯრედები, რომელთაც გარკვეულ ქსოვილებად გარდაქმნა შეუძლიათ. ასეთი მიდგომა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, პირველი კლინიკური ცდების დაწყებას კი წლის ბოლოსთვის აპირებენ. ახალ თერაპიას უდიდესი პოტენციალი აქვს ზურგისა და კისრის მკურნალობაში, ასევე, ზურგის დისკის, სახსრებისა და კუნთების ტრავმის მკურნალობის დროს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.